*დანართი №1*

# პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორის ICPC-2-R გამოყენების წესი

მომზადებულია ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა ეროვნული კოლეგიების, ასოციაციების და აკადემიური ასოციაციების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო კლასიფიკაციების კომიტეტის მიერ

ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა

# 1 ICPC-ის სტრუქტურა

ICPC-ის აქვს მარტივი ორღერძიანი სტრუქტურა, ის მოიცავს 17 თავს, რომლებიც სხეულის სისტემების მიხედვით არის დალაგებული ერთ ღერძზე, თითოეული ანბანური კოდითურთ, და შვიდი კომპონენტს რუბირკებითურთ, რომლებსაც მეორე ღერძზე ორციფრა კოდი გააჩნია (ნახ.1 და ცხრილი 1).

ICPC-ის მნიშნელოვანი მნემონიკური ხარისხი აქვს, რაც ექიმებს მის ყოველდღიურ გამოყენებას და მონაცემთა ჩანაწერების კოდირებას უმარტივებს.

კლასიფიკატორი ცხრილური ჩამონათვალის სახით არისწარმოდგენილი (იხ. თავი 8). პირველი და მეშვიდე კომპონენტების რუბრიკები თითოეული თავისთვის სრულად არის მოცემული. მეორე და მეექვსე კომპონენტის რუბრიკები ერთგვაროვანია ყველა თავისათვის და მხოლოდ ერთხელ არის მოყვანილი. თითოეულ რუბრიკას გააჩნია სამციფრა კოდი, შეზღუდული სიგრძის დასახელება და ICD–10-ის შესაბამისი რუბრიკების კოდი. რუბრიკების უმრავლესობა ასევე მოიცავს შემავალ, გამორიცხულ და „განსახილველ“ ტერმინებს (იხ. თავი 5). აბრევიატურები გამოიყენება იშვიათად. ტერმინი „მრავლობითი“ სამს ან მეტს გულიხსმობს.

ჩამონათვალის ანბანურ მაძიებელში ყველა რუბრიკის სათაური და რუბრიკების ტერმინები შედის (თავი 10). ეს არ ნიშნავს სრულ მოცვას, შემავალი ტერმინები მხოლოდ ისეთებია, რომლებიც ზოგადი ან მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვისათვის.

| | თავები | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კომპონენტები | A | B | D | F | H | K | L | N | P | R | S | T | U | W | X | Y | Z |
| 1. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6. | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7. | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ნახ.1.** ICPC-ის სტრუქტურა: 17 თავი და 7 კომპონენტი

ცხრილი 1. ICPC-ის თავები და კომპონენტები

| | |
|---|---|
| A | ზოგადი ან დაუზუსტებელი |
| B | სისხლი, სისხლმბადი ორგანოები ან იმუნური მექანიზმები (ელენთა, ძვლის ტვინი) |
| D | კუჭ-ნაწლავთა სისტემა |
| F | თვალი |
| H | ყური (სმენა) |
| K | სისხლის მიმოქცევის სისტემა |
| L | ძვალ-კუნთოვანი (მოძრაობის) სისტემა |
| N | ნერვული სისტემა |
| P | ფსიქიკური/ფსიქოლოგიური |
| R | რესპირაციული სისტემა |
| S | კანი |
| T | ენდოკრინული, მეტაბოლური ან კვების სისტემა |
| U | უროლოგიური |
| W | ორსულობა, მშობიარობა, ოჯახის დაგეგმვა (ქალები) |
| X | ქალთა სასქესო ორგანოები (X-ქრომოსომა) |
| Y | მამაკაცთა სასქესო ორგანოები (Y-ქრომოსომა) |
| Z | სოციალური პრობლემები |

კომპონენტები (სტანდარტული ყველა თავისათვის)

| | |
|---|---|
| 1 | ჩივილი და სიმპტომი |
| 2 | დიაგნოსტიკა, სკრინინგი და პრევენცია |
| 3 | წამლები, მკურნალობა, პროცედურები |
| 4 | ანალიზების (გამოკვლევების) შედეგები |
| 5 | ადმინისტრაციული კომპონენტი |
| 6 | რეფერალი და მიმართვის სხვა მიზეზები |
| 7 | დაავადებათა კომპონენტი: |

- ინფექციური დაავადებები
- ახალწარმონაქმნები
- ტრავმები
- თანდაყოლილი ანომალიები
- სხვა

---

ანბანური კოდი A გამოიყენება ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია

თუკი მომხმარებლისთვის საჭირო ტერმინი ვერ მოინახა, შესაძლებელია ICD-10-ის საძიებლიდან რუბრიკის მონახვა, შემდეგ კი ICPC–ის რუბრიკის მოსაძიებლად გადაყვანის ცხრილის გამოყენება (თავი 9). ზოგიერთი მომხმარებლის მიერ შემუშავდა სრული თეზაურუსი ელექტრონული ფორმით, მაგრამ დამტკიცებული საერთაშორისო ვერსია ჯერ–ჯერობით დამუშავების სტადიაშია.

მიუხედავად იმისა, რომ პირველადი ჯანდაცვის ძირითადი ელემენტების კლასიფიცირებისათვის ICPC საკმარისად მოქნილია, მას ზოგიერთი შეზღუდვაც გააჩნია. რუბრიკები მეორედან მეექვსე კომპონენტის ჩათვლით, რომლებიც მოიცავს სამედიცინო მომსახურების პროცესს, ძალიან ფართო და არასპეციფიკურია. მედიკამენტებისა და წამლების კლასიფიკაცია შემუშავებულია და ევროპული კვლევის[14] შედეგებშიც აისახა, მაგრამ ჯერ–ჯერობით ფორმალურად ICPC კლასიფიკატორში შესული არ არის. ICPC-ში არ არის შეტანილი ფიზიკური გასინჯვისა ან გამოკვლევების ობიექტური შედეგები. ყოველივე ზემოაღნიშნული შემდგომი განვითარების საგანია.

## დარჩენილი რუბრიკები

დარჩენილი რუბრიკები, ე.წ. «ნარჩენების ჩანთა» (“rag-bags”), მოთავსებულია სექციის ბოლოში ან ქვესექციაში, მათი აღწერა მოიცავს სიტყვას «სხვა». ცხადია, რომ ტერმინი «თუ სხვაგვარად არ არის დაზუსტებული» რუბრიკის ყველა ტერმინთან მიმართებაში გამოიყენება. კლასიფიკატორის უკეთესი გამოყენებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რას მოიცავს თითოეული სექცია ან ქვესექცია. როდესაც დარწმუნებული არ ხართ, მიმართეთ ანბანურ საძიებელს.

## ავადობის/დიაგნოსტიკის მონაცემთა პრაქტიკული გამოყენება

წინამდებარე კლასიფიკატორი ძირითადად გამოიყენებოდა ჯანმრთელობის შესახებ სტატისტიკის შესაგროვებლად და პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით. სამედიცინო ჩანაწერების კომპიუტერის მეშვეობით წარმოებამ მის უფრო ფართო გამოყენებას შეუწყო ხელი, აქ რუტინული კლინიკური მიმართვებისას მოპოვებული მონაცემების ორგანიზება და შენახვა იგულისხმება. აღნიშნული მონაცემები საჭიროა როგორც პაციენტის შესახებ სამედიცინო ჩანაწერების არსებობის თვალსაზრისით, ისე სამედიცინო სტატისტიკის წარმოებისათვის. ამ ორ მიზანთან მიმართებაში კლასიფიცირებისა და კოდირებისადმი წაყენებული მოთხოვნები განსხვავდება. პაციენტის შესახებ სამედიცინო ჩანაწერები შეძლებისდაგვარ დეტალიზაციას მოითხოვს, ამავე დროს სამედიცინო სტატისტიკისათვის საჭიროა მონაცემთა კატეგორიების მიხედვით სისტემატური აგრეგირება, მათი სიხშირისა ან პოლიტიკის შემუშავებისათვის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ICPC სწორედ პოლიტიკის მიზნების განსაზღვრისათვის შემუშავდა. მაგრამ სამედიცინო ჩანაწერებში კლინიკური მონაცემების კოდირებისათვის აუცილებელია მისი შემდგომი მოდიფიცირება.

## დამატებითი იერარქიული გაფართოება

ცხადია, რომ არც ერთ საერთაშორისო კლასიფიკაციას ყველა მომხმარებლის ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ძალუძს. აუცილებლად დგება მომენტი, როდესაც მომხმარებელს სურს იმ რამდენიმე პრობლემის განცალკევება, რომლებიც ერთ რუბრიკაში არის მოქცეული. ეს კი, როგორც წესი, მოითხოვს კოდების გაფართოებას დამატებითი იერარქიული პრინციპის გამოყენებით.

რეკომენდებულია, რომ, თუკი ეს შესაძლებელია, გაფართოება ICD-10-ის გამოყენებასთან თანხვედრაში იყოს ან გაფართოების კოდებად ICD-10-ის კოდები იქნას გამოყენებული. ეს მონაცემთა სისტემებს შორის მაქსიმალურ შედარებადობას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაშიც კი აუცილებელია პაციენტის შესახებ სპეციფიკური ინფორმაციის უზრუნველყოფა, იმისათვის რომ მოხდეს პაციენტის შესახებ სამედიცინო ჩანაწერების ადეკვატური წარმოება.

## დაავადებების სიმძიმე და ფუნქციონალური სტატუსი

ICPC–ის გამოყენებით შესაძლებელია პაციენტის დაავადების სიმძიმისა და ფუნქციონალური სტატუსის შეფასების შესახებ ინფორმაციის ჩაწერა. კლასიფიცირების შესაძლებლობები წინამდებარე წიგნში არის მოყვანილი. შესაძლებელია Duke/WONCA-ს დაავადებათა სიმძიმის ჩამონათვალის (DUSOI/WONCA) ICPC–ის რუბრიკებთან დაკავშირება და მათი გამოყენება ჯანმრთელობის ინდივიდუალურ პრობლემებთან მიმართებაში, ამავე დროს მათი შეჯამება პაციენტის ჯანმრთელობის კომბინირებული პრობლემების სიმძიმის აღსანიშნავად (თავი 6). COOP/WONCA-ს ფუნქციონალური მდგომარეობის შეფასების ცხრილები გამოიყენება პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემებისაგან დამოუკიდებლად და მეშვიდე თავში არის განხილული.

# 2 სამედიცინო მომსახურების ეპიზოდი: ზოგადი/საოჯახო მედიცინის ძირითადი კონცეფცია

პირველადი ჯანდაცვის სფეროში კლასიფიკატორის გამოყენებასთან დაკავშირებული ცვლილებები 1987 წელს, კლასიფიკატორის გამოცემის შემდეგ, დაიწყო. კლასიფიკატორის შექმნის ძირითადი მიზანი იყო კვლევებისათვის, მონაცემთა შეგროვებისა და პოლიტიკის ფორმულირებისათვის მისი გამოყენება.

შემდგომში კლასიფიკატორის გამოყენების სფერო გაფართოვდა, ერთი მხრივ, კვლევებისათვის შეგროვილი მონაცემების და კლასიფიკატორის პრაქტიკული მოხმარების კუთხით, მეორე მხრივ კი, ზოგადი/საოჯახო მედიცინის ახალი კონცეფციების ჩამოყალიბების მიმართულებითაც, რასაც შედეგად ICPC-ის ახალ სფეროებში გამოყენება მოჰყვა.

ამ ახალ სფეროებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების ეპიზოდების აღწერა და პაციენტების შესახებ კომპიუტერული ჩანაწერების წარმოება. ორივე მიმართულება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ზოგადი/საოჯახო მედიცინის და პირველადი ჯანდაცვის სფეროში პაციენტების შესახებ მონაცემთა შეგროვების პროცესში ICPC-ის, როგორც სისტემატიზაციის საშუალების, გამოყენებასთან არის დაკავშირებული.

WONCA-ს მიერ მოწოდებული ზოგადი საოჯახო პრაქტიკის ექიმის განმარტება ასეთია: „ექიმი, რომელიც აწარმოებს ინდივიდუალურ, პირველად მომსახურებას და შემდგომაც აგრძელებს სათანადო სამედიცინო მომსახურებას ინდივიდებისა და ოჯახების მიმართ“[19]. ეს განმარტება მედიცინის ინსტიტუტის (Institute of Medicine - IOM) მიერ მოწოდებული პირველადი ჯანდაცვის განმარტების მსგავსია: „პირველადი ჯანდაცვა არის ხელმისაწვდომი ინტეგრირებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა იმ ექიმების მიერ, რომელთა დანიშნულებაა ოჯახისა და თემის დონეზე ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების მოთხოვნილებათა უმეტესობის მიწოდება, პაციენტისა და პრაქტიკოსი ექიმების მდგრადი პარტნიორობის განვითარების მეშვეობით“[22].

**სამედიცინო მომსახურების ეპიზოდი**

წინამდებარე განსაზღვრებები მოყვანილია პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით და აქ „სამედიცინო მომსახურების ეპიზოდი“ შეფასების ერთეულს წარმოადგენს. სამედიცინო მომსახურების ეპიზოდი ინდივიდთა ავადმყოფობის ან შეუძლოდ ყოფნის ეპიზოდისგან განსხვავდება. სამედიცინო მომსახურების ეპიზოდი არის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა ან დაავადება, მისი პროვაიდერთან მიმართვის პირველი მომენტიდან ამ კონკრეტული ჯანმრთელობის პრობლემისა ან დაავადების გამო სამედიცინო მომსახურების პროვაიდერთან ბოლო მიმართვის ჩათვლით (ნახ. 2).




**ნახ. 2.** სამედიცინო მომსახურების ეპიზოდი

მიმართვის მიზეზები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა/ დიაგნოზები და მკურნალობის პროცესი/ჩარევები სამედიცინო მომსახურების ეპიზოდის ძირითადი არსია. ის შედგება ერთი ან მეტი მიმართვისაგან და ექიმ-პაციენტთა ურთიერთობებში წარმოქმნილ ცვლილებებს („ევოლუციას“) მოიცავს. ამგვარად, სამედიცინო მომსახურების ეპიზოდი თითოეული პაციენტის ჯანმრთელობის ცალკეული პრობლემის ან დაავადების გამო ნებისმიერ მიწოდებულ მომსახურებას უკავშირდება.

„სამედიცინო მომსახურების მოთხოვნილებათა უმეტესობა“, „სისრულე“, „ინტეგრირების“ დონე, „ხელმისაწვდომობა“ და „ანგარიშგება“ შესაძლებელია ICPC-ის მეშვეობით შეფასდეს, სამედიცინო მომსახურების ეპიზოდების კლასიფიცირების და პაციენტთა ჩანაწერების კომპიუტერით წარმოებისას.

სამედიცინო მომსახურების ეპიზოდის კონცეფცია ICPC-ის გამოყენების ევროპულ კვლევაში იყო ნაჩვენები. აღნიშნულ კვლევაში სხვადასხვა შემთხვევებში გამოვლენილი ეპიდემიოლოგიური და კლინიკური მახასიათებლების ერთგვაროვნება და განსხვავებები იყო მოყვანილი. ამის გარდა, წარმოდგენილი იყო მიმართვის მიზეზთა აღრიცხვის კონცეფცია - პაციენტთა მიერ სამედიცინო მოთხოვნილებების აღრიცხვის თვალსაზრისით ინოვაციური და პრაქტიკული გამოყენებისათვის მოქნილი. ოჯახის ექიმთა მიერ მიმართვის მიზეზებისადმი კოდების მინიჭებისა და პაციენტთა ხედვით წარმოდგენილი მიმართვის მიზეზების შედარების შედეგად მიღებული სიზუსტის ხარისხი საკმარისად მაღალი აღმოჩნდა.

ახალი „პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორი" ზოგად/საოჯახო პრაქტიკას განსაზღვრავს და ICPC-ის მეშვეობით ეპიზოდების სტრუქტურირების წესებს იძლევა, რაც ეპიდემიოლოგიური სტანდარტების დაცვასა და სხვადასხვა ქვეყნების მონაცემთა შედარებადობას უზრუნველყოფს.

## მიმართვის მიზეზი

მიმართვის მიზეზის (RFE) ცნება ჩამოყალიბდა პაციენტის შესახებ ინფორმაციის პრაქტიკული წარმოდგენისა და კვლევებისა და სწავლებისათვის საფუძვლის შესაქმნელად. ამას ჰოლანდიის გარდამავალი პერიოდის პროექტის (Dutch Transition Project) ფარგლებში მიღებული ეპიდემიოლოგიური მონაცემები ცხადყოფს. ისინი მოცემულია სტანდარტული ფორმით, რომელიც გლოსარიუმში წარმოდგენილ წესებს ეფუძნება. მიმართვის მიზეზის გამოყენებით შესაძლებელია ჯანმრთელობის ნებისმიერი მოცემული პრობლემის განსაზღვრა ეპიზოდის საწყისი ეტაპიდან ან მისი მსვლელობის განმავლობაში, თითოეული სტანდარტული ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფისათვის. ასე, მაგალითად: ხველებასთან დაკავშირებული 10 ყველაზე ხშირი პრობლემა, რომელიც ეპიზოდის დასაწყისში არის მოცემული, 5-14 წლის ბავშვთა და 65-74 წლის მამაკაცთა შორის არსებულ კლინიკურად მნიშვნელოვან სხვაობებს ასახავს (ცხრილი 2). შებრუნებული პროცედურა კლინიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად რელევანტურია: რა სახის მიმართვის მიზეზი იყო წარმოდგენილი ეპიზოდის დასაწყისში და მისი მსვლელობის განმავლობაში ამ კონკრეტულ ჯანმრთელობის პრობლემასთან დაკავშირებით, შესაბამისი ასაკობრივ/სქესობრივი ჯგუფის მიხედვით? ილუსტრაციისათვის აქვე მოყვანილია მწვავე ბრონქიტის შემთხვევა (ცხრილი 3). აღნიშნული ცხრილები კლინიკურ სხვაობებს უფრო დეტალურად ასაბუთებს, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი.

ცხრილი 2. 10 ყველაზე ხშირად არსებული ეპიზოდის დასახელება, რომელიც ხველით (R05) იწყება (მანამდე არსებული შესაძლებლობები)

| მიმართვის მიზეზი R05 ხველა (*N*=1267) | | *N* | % |
|---|---|---|---|
| R74 | ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია | 456 | 35,6 |
| R78 | მწვავე ბრონქიტი/ბრონქიოლიტი | 261 | 20,4 |
| R05 | ხველა | 159 | 12,4 |
| R77 | ლარინგიტი/ტრაქეიტი მწვავე | 110 | 8,6 |
| A77 | სხვა ვირუსული დაავადება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული | 54 | 4,2 |
| R96 | ასთმა | 40 | 3,1 |
| R81 | პნევმონია | 33 | 2,6 |
| R75 | სინუსიტი მწვავე/ქრონიკული | 30 | 2,3 |
| R80 | გრიპი პნევმონიის გარეშე | 24 | 1,9 |
| R71 | ყივანახველა | 22 | 1,7 |
| სულ - 10 ყველაზე ხშირად არსებული | | 1189 | 92,8 |
| სულ | | 1281 | 100,0 |

| მამაკაცები, 65-74 წლის ასაკში (*N*=646) | | *N* | % |
|---|---|---|---|
| R78 | მწვავე ბრონქიტი/ბრონქიოლიტი | 256 | 39,1 |
| R74 | ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია | 155 | 23,7 |
| R05 | ხველა | 65 | 9,9 |
| R77 | ლარინგიტი/ტრაქეიტი მწვავე | 45 | 6,9 |
| R75 | სინუსიტი მწვავე/ქრონიკული | 22 | 3,4 |
| R77 | გულის უკმარისობა | 15 | 2,3 |
| R96 | ასთმა | 13 | 2,0 |
| R91 | ქრონიკული ბრონქიტი/ბრონქიექტაზი | 12 | 1,8 |
| R81 | პნევმონია | 10 | 1,5 |
| R95 | ემფიზემა/ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება | 9 | 1,4 |
| 10 ყველაზე ხშირად არსებული - სულ | | 602 | 92,0 |
| სულ | | 654 | 100,0 |

წყარო: Transition Project, reported in Hofmans-Okkes and Lamberts[17].

**ცხრილი 3.** 10 ყველაზე ხშირად არსებული მიმართვის მიზეზი მწვავე ბრონქიტის/ბრონქიოლიტის ეპიზოდის დროს (R78)

| ბავშვები, 5-14 წლის ასაკში (*N*=377) | | *N* | % |
|---|---|---|---|
| R05 | ხველა | 321 | 46,1 |
| A03 | სიცხე | 98 | 14,1 |
| R31 | სამედიცინო შემოწმება/ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება/არასრული | 64 | 9,2 |
| R02 | ზედაპირული სუნთქვა/დისპნოე | 43 | 6,2 |
| R74 | ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია | 24 | 3,4 |
| A04 | სისუსტე/დაღლილობა (ზოგადად) | 18 | 2,6 |
| R03 | ქოშინი | 17 | 2,4 |
| R64 | ახალი ეპიზოდის დასაწყისი (ეპიზოდის განვითარება) | 17 | 2,4 |
| R78 | მწვავე ბრონქიტი/ბრონქიოლიტი | 13 | 1,9 |
| R21 | ყელის სიმპტომები/ჩივილები | 9 | 1,3 |
| 10 ყველაზე ხშირად არსებული - სულ | | 624 | 89,5 |
| სულ | | 697 | 100,0 |

| მამაკაცები, 65-74 წლის ასაკში (*N*=422) | | *N* | % |
|---|---|---|---|
| R05 | ხველა | 324 | 39,4 |
| R02 | ზედაპირული სუნთქვა/დისპნოე | 133 | 16,2 |
| R78 | მწვავე ბრონქიტი/ბრონქიოლიტი | 100 | 12,2 |
| R31 | სამედიცინო შემოწმება/ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება/არასრული | 79 | 9,6 |
| A03 | სიცხე | 34 | 4,1 |
| R25 | ნახველი/ნახველის პათოლოგია | 23 | 2,8 |
| R64 | ახალი ეპიზოდის დასაწყისი (ეპიზოდის განვითარება) | 21 | 2,6 |
| R74 | ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია | 14 | 1,7 |
| A04 | სისუსტე/დაღლილობა (ზოგადად) | 13 | 1,6 |
| R01 | ტკივილი სასუნთქი სისტემის არეში | 8 | 1,0 |
| სულ - 10 ყველაზე ხშირად არსებული | | 749 | 91,1 |
| სულ | | 822 | 100,0 |

წყარო: Transition Project, reported in Hofmans-Okkes and Lamberts[17].

## ჯანმრთელობის პრობლემა/დიაგნოზი

ჯანმრთელობის პრობლემა/დიაგნოზი სამედიცინო მომსახურების ეპიზოდის ძირითად ნაწილს წარმოადგენს და მის დასახელებას განსაზღვრავს. ჯანმრთელობის პრობლემათა დიდი ნაწილი ფაქტიურად სამედიცინო დიაგნოზიც არის, მაგრამ პირველადი ჯანდაცვის შემთხვევაში მრავალი სხვა პირობაც ემატება, ასეთებია: დაავადების შიში, სიმპტომები, ჩივილები, უუნარობა ან სამედიცინო სერვისის მოთხოვნა - მაგალითად, იმუნიზაცია. ICPC ყველა ზემოაღნიშნულს მოიცავს. ჯანმრთელობის პრობლემა მიმართვის მიზეზში მდგომარეობის აღმწერი ტერმინებით შეიძლება აღინიშნოს, პროვაიდერი კი ზუსტად განსაზღვრავს მას დიაგნოზის და დაავადების სიმძიმის მიხედვით.

ეპიზოდი მიმართვის მიზეზების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს როგორც ექიმისა და პაციენტისათვის ახალი; ან ახალი ექიმისათვის, მაგრამ მანამდე უკვე ნამკურნალევი ამ სამედიცინო დაწესებულების ფარგლებს გარეთ; ან არც ერთი - იმ შემთხვევაში, თუკი ეს განმეორებით მიმართვაა (იხ.ნახ. 3D).

ძველი სტრუქტურა




ახალი სტრუქტურა




**ნახ. 3.** მიმართვის მიზეზთა ამსახველი ახალი სტრუქტურა[17].

პაციენტთა ჩანაწერების კარგად ორგანიზებული კომპიუტერული სისტემა პროვაიდერს აწვდის შეტყობინებას, როდესაც სამედიცინო მომსახურების მომწოდებელი ცდილობს შეიყვანოს მიმართვა როგორც განმეორებითი იმ ეპიზოდისათვის, რომელიც აქამდე მონაცემთა ბაზაში არ იყო შეტანილი, ან იმ შემთხვევაში, როცა იწყებს ახალ ეპიზოდს ისეთივე დასახელებით, რომელიც უკვე არსებობდა. ცხადია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია სამედიცინო ჩანაწერების ხარისხის უზრუნველსაყოფად.

სამედიცინო მომსახურების ეპიზოდთან დაკავშირებით კიდევ სხვა ასპექტიც არსებობს: რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული ის დიაგნოზი, რომელსაც ექიმი აფიქსირებს. აქ შესაძლებლობები არაზუსტიდან ძალიან კორექტულად დასმულ დიაგნოზამდე ვარირებს, თუმცა ამის სტანდარტული განსაზღვრება არ არსებობს. ამავე დროს ICPC-2-ის შემთხვევაში არსებობს რუბრიკების შერჩევის კრიტერიუმი, რომელიც ეპიზოდის შესატყვისი სახელების შერჩევას უწყობს ხელს. ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების შემთხვევაში შესაძლებელია, რომ კომპიუტერის ეკრანზე პერიოდულად ჩნდებოდეს კოდირებისათვის აუცილებელი შეტყობინება.

სამედიცინო მომსახურების ეპიზოდის მესამე მახასიათებელი - დაავადების სიმძიმე - მე-7 თავში არის განხილული.

პირველადი ჯანდაცვისათვის ხშირია შემთხვევები, როდესაც პაციენტს გააჩნია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მრავლობითი პრობლემები და მათთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების რამდენიმე ეპიზოდი არის აღნუსხული. მონაცემთა შესატყვის სისტემას ძალუძს აღნიშნული პრობლემებისა და ეპიზოდების ურთიერთკავშირების დადგენა და თანმხლები დაავადებების შესახებ მონაცემების მოწოდება (ცხრილი 4).

**ჩარევები, მკურნალობის პროცესი**

გადაუდებელი ჩარევების კლასიფიცირებისათვის გამოყენებული, პროცესის ამსახველი ICPC-ის სამნიშნა კოდების სპეციფიკურობა საკმაოდ შეზღუდული, თუმცა როგორც წესი - ადეკვატურია. მაგრამ როდესაც ხდება მედიკამენტების დანიშვნა, აუცილებელია წამლის კოდის მითითება. რადგანაც არსებობს გამოყენებული მედიკამენტების უზარმაზარი რაოდენობა და ამავე დროს გარკვეული იდიოსინკრაზია ეროვნული წამლების ხელმისაწვდომობის მიმართ, საერთაშორისო მასშტაბით მისაღები მედიკამენტების კოდირება ჯერ-ჯერობით არ შემუშავებულა. ევროპაში წარმატებულად გამოიყენება ICPC-ის მედიკამენტების კოდირება, რომელიც წამლების ანატომიურ-თერაპიულ-ქიმიურ კლასიფიკაციასთან (ATC) არის თავსებადი, შესაძლებელია ის ფართო გამოყენებისათვისაც მისაღები აღმოჩნდეს.

**ცხრილი 4.** თანმხლები ეპიზოდები მწვავე ბრონქიტის/ბრონქიოლიტის (R78) მქონე პაციენტებისათვის

| ბავშვები 5-14 წლის ასაკში (*N=329*) | | *N* | *%* | Prev. |
|---|---|---|---|---|
| R74 | ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია | 90 | 9,6 | 274 |
| H71 | შუა ყურის დაფის აპკის მწვავე ანთება | 57 | 6,1 | 173 |
| R78 | მწვავე ბრონქიტი/ბრონქიოლიტი | 48 | 5,1 | 146 |
| R96 | ასთმა | 37 | 3,9 | 112 |
| A97 | ავადმყოფობის არ არსებობა | 32 | 3,4 | 97 |
| S03 | მეჭეჭი | 29 | 3,1 | 88 |
| A77 | სხვა ვირუსული დაავადება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული | 21 | 2,2 | 64 |
| R76 | ტონზილიტი მწვავე | 20 | 2,1 | 61 |
| S18 | ნაგლეჯი ჭრილობა/გაჭრა | 20 | 2,1 | 61 |
| D73 | სავარაუდო კუჭ-ნაწლავური ინფექცია | 17 | 1,8 | 52 |
| 10 ყველაზე ხშირად არსებული - სულ | | 371 | 39,6 | 1128 |
| სულ | | 938 | 100,0 | 2851 |

თანმხლები ეპიზოდების საშუალო რაოდენობა = 2,9

| მამაკაცები 65-74 წლის ასაკში (*N=350*) | | *N* | *%* | Prev. |
|---|---|---|---|---|
| R78 | მწვავე ბრონქიტი/ბრონქიოლიტი | 72 | 4,7 | 206 |
| A97 | ავადმყოფობის არ არსებობა | 56 | 3,7 | 160 |
| R95 | ემფიზემა/ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება | 47 | 3,1 | 134 |
| K86 | ჰიპერტენზია გართულების გარეშე | 46 | 3,0 | 131 |
| R74 | ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია | 46 | 3,0 | 131 |
| K77 | გულის უკმარისობა | 35 | 2,3 | 100 |
| A85 | წამლისმიერი აგენტის არასასურველი ზემოქმედება | 30 | 2,0 | 86 |
| H81 | ყურში გოგირდის სიჭარბე | 30 | 2,0 | 86 |
| K76 | გულის იშემიური დაავადება ანგინის გარეშე | 30 | 2,0 | 86 |
| T90 | ინსულინდამოუკიდებელი დიაბეტი | 25 | 1,6 | 71 |
| 10 ყველაზე ხშირად არსებული - სულ | | 417 | 27,4 | 1191 |
| სულ | | 1521 | 100,0 | 4346 |

თანმხლები ეპიზოდების საშუალო რაოდენობა = 4,3

Prev. = თანმხლები ეპიზოდების რაოდენობა R78 დიაგნოზის მქონე 1000 პაციენტზე
წყარო: Transition Project, reported in Hofmans-Okkes and Lamberts[17].

## პაციენტთა ჩანაწერები

კომპიუტერზე დაფუძნებული პაციენტების ჩანაწერების საფუძველს ICPC-ის მეშვეობით კოდირებული მონაცემები წარმოადგენს, და ისინი რომელიმე ენაზე დამოკიდებული არ არის. ეს ჩანაწერთა პრაქტიკულ გამოყენებას უფრო ღირებულს ხდის, რადგანაც სხვადასხვა ქვეყნებს შორის მონაცემთა შედარების საშუალებას იძლევა. ეს, თავის მხრივ, ზოგადი/საოჯახო მედიცინის განვითარებას უწყობს ხელს, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ, კარგად განვითარებულ პროფესიას, რომელსაც მკაფიოდ განსაზღვრული და ემპირიულად დადასტურებული კავშირების ჩარჩო გააჩნია. ICPC-ის 19 ენაზე არსებობა და ICD-10-ის თარგმანების ზრდადი რაოდენობა, რომელსაც ანბანური საძიებელიც გააჩნია, მრავალი ქვეყნის ოჯახის ექიმებს დეტალიზებული ენობრივად სპეციფიკური თეზაურუსების საკუთარ სისტემებში გაერთიანების საშუალებას აძლევს. ამავე დროს ICPC-ის გამოყენებით ჩანაწერების სისტემატიზებული სტრუქტურირება და მონაცემთა ბაზების უფრო სტანდარტიზებული ფორმით ჩამოყალიბება ხდება შესაძლებელი.

## შემდგომი განვითარება

თავდაპირველად არსებობდა სამი ძირითადი ელემენტი (მიმართვის მიზეზი, ჯანმრთელობის პრობლემა, ჩარევები), რომელთა კოდირება ICPC-ისმეშვეობით ხდებოდა (ნახ.2). შემდგომ, პაციენტთა ელექტრონული ჩანაწერების შემთხვევაში, მოხდა მათი 6 მონაცემის სახით შეტანა (A-F) (ნახ. 3). მიმართვის მიზეზი ორ სექციაში ფიქსირდება: სიმპტომები და ჩივილები და პაციენტის მოთხოვნა რაიმე ჩარევასთან დაკავშირებით. მიმართვის მიზეზებში მოყვანილი სიმპტომების და ჩივილების გარდა, ექიმის მიერ აღმოჩენილი კლინიკური მიგნებების (სიმპტომების და ჩივილების) კოდირებაც ხდება.

ჩარევები ან პროცესები აღინიშნება როგორც გადაუდებელი (მიმართვისას ჩატარებული) ან შემდგომი (რომელიც მოგვიანებით გაკეთდება). აღნიშნული მიმართულებით, კერძოდ, ნიდერლანდებში, განხორციელებულმა სამუშაოებმა დაადასტურა მიმართვის მიზეზთა კონცეფციის გამოყენებადობა, შემდგომ მოხდა მისი გაუმჯობესება - ჩამოყალიბდა მიმართვის მიზეზების, ჯანმრთელობის პრობლემების/ დიაგნოზების და სამედიცინო მომსახურების კონცეფციები.

ცხადია, რომ ძალიან სასარგებლოა უწინ არსებული შესაძლებლობების შეფასებისათვის მიმართვის მიზეზთა გამოყენება, მაგალითად, როცა პაციენტის მიერ წარმოდგენილი მიმართვის მიზეზები არის ხველა, სუნთქვის გახშირება, სიცხე, პათოლოგიური ნახველი ან ქოშინი (ნახ. 3A) და ისინი განსხვავდება ექიმის მიერ გამოვლენილი კლინიკური მიგნებებისგან ანამნეზის შედგენის დროს (ნახ. 3C).

ICPC 200-ზე მეტ სიმპტომსა და ჩივილს მოიცავს, რომელთა მეშვეობით მიმართვის მიზეზებისა და კლინიკური მიგნებების სათანადო კლასიფიცირება ხდება შესაძლებელი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასში ობიექტური მიგნებების კლასიფიცირება ჯერ-ჯერობით არ შედის. აღნიშნულის შეტანა შესაძლებელია მიმართვის მიზეზთა და ეპიზოდის სტრუქტურისათვის ელექტრონული ჩანაწერების წარმოების შემთხვევაში (ნახ. 3A და C). ერთად აღებული, ეს მანამდე არსებული

შესაძლებლობების სრული აღრიცხვის საშუალებას იძლევა, რადგანაც პაციენტის მიერ მიმართვის მიზეზის სახით აღწერილ სიმპტომსა და ექიმის მიერ დადგენილს შორის არსებული განსხვავების დამახსოვრების და საჭიროების შემთხვევაში - ცალ-ცალკე დათვლის საშუალებასაც იძლევა.

მიმართვის მიზეზები, რომლებიც მოცემულია სიმპტომის ან ჯანმრთელობის პრობლემის/დიაგნოზის სახით, უნდა განვასხვავოთ იმ მიმართვის მიზეზებისაგან, რომლებიც რაიმე ჩარევის (მაგალითად, დანიშნულება, რენტგენი, რეფერალი, რჩევის მიღება) მოთხოვნის ფორმით არის მოცემული (ნახ. 3A და B). რომელიმე ჩარევის მოთხოვნა ხშირად უკვე ჩატარებულ ჩარევას მოსდევს ხოლმე: როდესაც პაციენტს წამალი ან წნევის გაზომვა სჭირდება, ის მას იღებს კიდევაც. როდესაც პაციენტი აქტიურ ზეგავლენას ახდენს იმ მომსახურებაზე, რომელსაც ზოგადი პრაქტიკის/ოჯახის ექიმისგან იღებს, მნიშვნელოვანია აღნიშნულის მკაფიოდ დაფიქსირება, შეთანხმებული ურთიერთგაგების მიღწევის მიზნით.

ჩანაწერების სისტემებს დიაგნოსტიკური და თერაპიული ჩარევების ერთმანეთისგან განსხვავების საშუალება უნდა ჰქონდეთ ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მიმართვა („დაუყოვნებელი“, ნახ. 3E) ან შემდგომ ჩასატარებელი პროცედურა („შემდგომი“, ნახ. 3F) ფიქსირდება. ოჯახის ექიმის მიერ მიმართვის დროს ფაქტიურად ჩატარებული და მოსალოდნელი (შემდგომ განსახორციელებელი) აქტივობების ერთმანეთისაგან განსხვავების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს. ეს უკანასკნელი მონაცემთა ანალიზის, სხვადასხვა ექიმების აზრთა სხვადასხვაობის და შეთანხმების მიღწევის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ამის გარდა, ეპიზოდის შემდგომი განვითარებისას პირველი მიმართვისას დაფიქსირებული ვარიანტების უკეთესი გაცნობიერება ხდება შესაძლებელი .

შემდგომი ჩარევების დაფიქსირებისათვის საჭიროა უფრო მეტად სპეციფიკური კლასიფიცირება, ვიდრე ეს ICPC-ის მეშვეობით არის შესაძლებელი. აღნიშნული კი WONCA-სკლასიფიკაციების კომიტეტის მიმდინარე საქმიანობის საგანს წარმოადგენს.

# 3 ICPC–ის გამოყენება მიმართვის მიზეზთა ჩაწერისათვის

ICPC–ის გამოყენებით ინფორმაციის კოდირების პროცედურა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ინფორმაციის ჩაწერა არის საჭირო. ეს შეიძლება იყოს მიმართვის მიზეზი, ჯანმრთელობის პრობლემა ან ჩარევა. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ჩანაწერთა თანმიმდევრელობას და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დაწესებულებებში მოპოვებული მონაცემების შედარებადობას, შემდეგი სტანდარტებია შემოთავაზებული.

## მიმართვის მიზეზი

პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს მიმართვის მიზეზი (RFE) ისეთი სახით, როგორც ის პაციენტის მიერ არის მოწოდებული. მის ფუნქციაში არ შედის არავითარი შეფასება, მაგალითად, კორექტირება ან მიმართვის მიზეზის სიზუსტის შემოწმება. კლასიფიკატორის გამოყენება აღნიშნული მიზნებისათვის სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. მიმართვის მიზეზი უნდა დაზუსტებული იქნას და შეთანხმდეს პაციენტსა და პროვაიდერის მიერ და პაციენტმა ის მისთვის მისაღებად უნდა ჩათვალოს.
2. ICPC–ის რუბრიკა ზუსტად პაციენტის მიერ დასახელებული მიმართვის მიზეზის მიხედვით უნდა იყოს შერჩეული. პროვაიდერის მხრიდან მიმართვის მიზეზის ცვლილება დასაშვები არ არის ან ეს მინიმალური უნდა იყოს. ICPC–ის ფარგლებში პაციენტთა მიმართვის მიზეზების მკაფიო განსაზღვრა აუცილებელია კლასიფიკატორის ყველაზე შესატყვისი რუბრიკის შესარჩევად.
3. რუბრიკებისათვის ჩამოთვლილი შერჩევის კრიტერიუმები ჯანმრთელობის პრობლემების/დიაგნოზების ჩასაწერად არ უნდა იყოს გამოყენებული, რადგანაც მიმართვის მიზეზი მხოლოდ პაციენტის ხედვით უნდა დაფიქსირდეს და მხოლოდ პაციენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას უნდა ეფუძნებოდეს.

ხერხი, რომლითაც პაციენტი აღწერს მისი მიმართვის მიზეზს (მიზეზებს) განსაზღვრავს, თუ რომელი თავი და რომელი კომპონენტი უნდა იყოს გამოყენებული (ნახ.1 და ცხრილი 1). ამ შემთხვევაში გამოიყენება მთლიანი კლასიფიკატორი და პაციენტს შეუძლია აღწეროს მისი სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის მიზეზი სიმპტომების ან ჩივილის, მომსახურების მიღების ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სახით.

## კოდის არჩევა

მიმართვის მიზეზის კოდირებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმ ორგანოთა სისტემის ან თავის არჩევა, რომლითაც სწორი ანბანური კოდი განისაზღვრება, ამის შემდეგ კი ხდება იმ ორნიშნა ციფრული კოდის სათანადოდ განსაზღვრა, რომელიც აღნიშნავს სიმპტომს ან ჩივილს, დიაგნოზს ან ჩარევას. ანბანური სამიებელი გამოყენებული უნდა იქნას მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული უზუსტობა იმის შესახებ, თუ რომელ თავსა ან კომპონენტს მიეკუთვნება კონკრეტული მიმართვის მიზეზი. განუსაზღვრელი ან ორგანიზმის რამდენიმე სისტემასთან დაკავშირებული მიმართვის მიზეზების კოდირებისათვის გამოიყენება თავი A.

მიმართვის მიზეზების ჩასაწერად ICPC–ის გამოყენებისას არსებობს თავების შერჩევის ოთხი წესი, ხოლო კომპონენტების შესარჩევად - სამი. ქვემოთ ეს წესები და მათი გამოყენების მაგალითები არის მოყვანილი.

*წესი 1*

მიმართვის მიზეზი მაქსიმალურად ზუსტად უნდა იყოს კოდირებული. შესაძლებელია, რომ პროვაიდერმა გარკვეული დაზუსტება მოითხოვოს.

*მაგალითი*

ტკივილი გულმკერდის არეში - შესაძლებელია შემდეგი კოდის მინიჭება: კოდი A11 (ტკივილი გულმკერდის არეში, თუ სხვაგვარად არ არის დაზუსტებული), კოდიK01 (გულის ტკივილი), კოდიR01 (ტკივილი სასუნთქი სისტემის არეში), კოდი L04 (გულმკერდთან დაკავშირებული სიმპტომები/ჩივილები). სწორი არჩევანის შესახებ გადაწყვეტილება არ ემყარება პროვაიდერის აზრს, თუ რომელი ტიპის ტკივილი არის გულმკერდის არეში - მან მხოლოდ პაციენტის მიერ მიმართვის მიზეზის აღწერა უნდა მოახდინოს.

| | |
|---|---|
| „ტკივილი მთელი გულმკერდის არეში...“ | A11 |
| „ხველებისას გულმკერდი მტკივა“ | R01 |
| “გულმკერდი მტკივა . . . ვფიქრობ გულის პრობლემაა “ | K01 |
| “ტკივილი მაქვს გულმკერდის არეში, მას შემდეგ, რაც კიბიდან ჩამოვვარდი“ | L04 |

*წესი 2*

პაციენტის მიერ მიმართვის მიზეზის აღწერის კოდირების დროს პაციენტის ტერმინოლოგია უნდა იქნას გამოყენებული.

*მაგალითი*

სიყვითლე, როგორც დიაგნოსტიკური ტერმინი, მოცემულია თავში D (კუჭ-ნაწლავი), მაგრამ შესაძლებელია, რომ პაციენტმა ეს სიმპტომი წარმოადგინოს, როგორც კანის ყვითელი შეფერილობა (თავი S). თუ პაციენტი პრობლემას „სიყვითლის“ სახით განსაზღვრავს, მაშინ ICPC–ის კოდი იქნება D13. მაგრამ თუკი პაციენტი ამბობს „კანი

მიყვითლდება“, სწორად განსაზღვრული კოდი იქნება S08, მიუხედავად იმისა, თუ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის აზრით ეს ფაქტი ჰეპატიტის რომელიმე ფორმის დიაგნოზს უნდა უკავშირდებოდეს.

*წესი 3*

როდესაც პაციენტს არ ძალუძს ჩივილის სიტყვებით აღწერა, შესაძლებელია მიმართვის მიზეზის თანმხლები პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დაფიქსირება (მაგალითად, თუკი დედა მოიყვანს შვილს ან რომელიმე ნათესავი უგონოდ მყოფ პაციენტს).

*წესი 4*

ნებისმიერი პრობლემა, რომელიც პაციენტის მიერ ვერბალურად არის წარმოდგენილი, უნდა დაფიქსირდეს, როგორც მიმართვის მიზეზი. მრავლობითი კოდირება საჭიროა, თუკი პაციენტი ერთ მიზეზზე მეტს წარმოადგენს. თითოეული მიზეზის კოდირება ეტაპობრივად ხდება.

*მაგალითი*

„მე მჭირდება წნევის წამალი. ამის გარდა,სარძევე ჯირკვალიც მგრძნობიარე და მტკივნეული მაქვს“ - K50, X18. თუკი მოგვიანებით პაციენტი იკითხავს: „რა წარმონაქმნი მაქვს კანზე?“ - ეს აგრეთვე უნდა იყოს დაფიქსირებული, როგორც მიმართვის მიზეზი S04.

### კომპონენტის კოდის არჩევა

1. სიმპტომები და ჩივილები

პაციენტთა მიმართვის ყველა გავრცელებული მიზეზი, რომელთა გამოც ისინი სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ, სიმპტომებისა და ჩივილების ფორმით არის მოცემული. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ კომპონენტი 1 (სიმპტომები და ჩივილები) ფართოდ იქნება გამოყენებული. ეს სიმპტომები სპეციფიკურია თითოეული თავისათვის; გულისრევის შეგრძნება მოცემულია კუჭ-ნაწლავის თავში (D09), მაშინ როდესაც ცემინება – სუნთქვის თავში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კომპონენტი იმ სპეციფიკური სიმპტომების აღნიშვნას მოითხოვს, რომელიც ამ თავშია მოცემული, აუცილებელია გარკვეული სტანდარტიზაცია, იმისათვის რომ კოდირება უფრო გამარტივებულად მოხდეს.

ყველა თავში (გარდა ფსიქოლოგიური და სოციალურისა) პირველი რუბრიკა (რუბრიკები) უკავშირდება სიპტომს "ტკივილი". მაგალითად, ყურის ტკივილი (H01) და თავის ტკივილი (N01). ამის გარდა, თითოეული თავისათვის არსებობს პირველი კომპონენტის კიდევ ოთხი სტანდარტული რუბრიკა. ესენია:

- 26 კიბოს შიში
- 27 დაავადების ან მსგავსის შიში
- 28 ფუნქციის შეზღუდვა (უუნარობა)
- 29 სხვა სიმპტომები/ჩივილები.

კოდები 26 და 27 (და ზოგჯერ რამდენიმე სხვა) იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც პაციენტი აღნიშნავს, რომ გააჩნია შიში კიბოს ან სხვა რომელიმე დაავადების ან პრობლემის არსებობის შესახებ. მაგალითად:

| | |
|---|---|
| „ვშიშობ, რომ ტუბერკულოზი მაქვს " | A27 |
| „შიში მაქვს, მუმუს კიბო ხომ არ არის" | X26 |
| „მაშინებს ვენერიული დაავადება " | Y25 |

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პროვაიდერი ფიქრობს, რომ აღნიშნული შიში დაუსაბუთებელი ან არალოგიკურია, ის მაინც წარმოადგენს პაციენტის მიმართვის მიზეზს იმ სახით, როგორც ეს პაციენტმა დააფიქსირა.

რუბრიკა 28 უნდა იყოს გამოყენებული მაშინ, როდესაც პაციენტის მიმართვის მიზეზი ჩამოყალიბებულია როგორც უუნარობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობასა და სოციალურ ფუნქციებზე.

*მაგალითები*

„მე კიბეზე ვერ ავდივარ თაბაშირის ნახვევის გამო, რომელიც კოჭის მოტეხილობისას გამიკეთეს" - L28 (კომპონენტი 1) და L76 (კომპონენტი 7).

„ოფისში ვერ ვმუშაობ, რადგანაც არ შემიძლია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჯდომა ბუასილის გამო" - K28 (კომპონენტი 1) და K96 (კომპონენტი 7).

ყველა თავში კომპონენტი 29 იმ სიმპტომებს ან ჩივილებს მოიცავს, რომლებიც სხვა რუბრიკაში არ მოხვდა (ე.წ. „ნარჩენების ჩანთა" - „rag-bag"). ის მოიცავს კონკრეტულ ან უჩვეულო სიმპტომებსა და ჩივილებს, რომლებსაც ცალკე გამოყოფილი რუბრიკა არ გააჩნია. ის ასევე უკავშირდება იმ სიმპტომებს/ჩივილებს, რომლებიც მკაფიოთ არ არის გამოკვეთილი. საჭიროა რაიმე სინონიმის მონახვა სხვა რუბრიკებში, ვიდრე ეს რუბრიკა იქნება გამოყენებული.

2. დიაგნოსტიკა, სკრინინგი და პრევენციული პროცედურები

წარმოდგენილი რუბრიკები ასახავს პაციენტის მოლოდინს ჩაიტაროს გარკვეული პროცედურა, მაგალითად, „მე მოვედი სისხლის ანალიზის გასაკეთებლად“ (-34). პაციენტმა შეიძლება მოითხოვოს პროცედურის ჩატარება, რომელიც გარკვეულ პრობლემას უკავშირდება ან გააჩნდეს რაიმე ერთჯერადი მოთხოვნა, მაგალითად:

| | | |
|---|---|---|
| „მსურს, რომ ექიმმა გული გამისინჯოს,“ | K31 | ან |
| „ვფიქრობ, რომ შარდის ანალიზის გაკეთება მჭირდება“ | (-35) | ან |
| „მე მოვედი რენტგენის პასუხის მისაღებად“ | (-60) | ან |
| „მე აცრა მჭირდება“ | (-44). | |

პროვაიდერის მიერ უნდა განისაზღვროს, თუ რატომ თვლის პაციენტი, რომ მას შარდის ანალიზი უნდა გაუკეთდეს, რადგანაც შესაბამისი ანბანური კოდის შერჩევა არის საჭირო. თუ ეს უკავშირდება შარდის ბუშტის შესაძლო ინფექციას, მაშინ კოდი იქნება U35; თუ დიაბეტს – T35. თუკი მოთხოვნა ბარიუმის მიღებას გამოა, კოდი იქნება D60. წითურას საწინააღმდეგო აცრის მოთხოვმა აღინიშნებაკოდით A44.

3. წამლები, მკურნალობა, პროცედურები

აღნიშნული მიმართვის მიზეზების კოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც პაციენტის მოთხოვნა მკურნალობას ეხება ან თუკი პაციენტი მოდის ექიმთან გარკვეული მითითებების მისაღებად, რომლებიც მის მკურნალობას, სხვადასხვა პროცედურებს ან წამლების მიღებას უკავშირდება. პროვაიდერს ყველაზე შესატყვისი კოდის განსაზღვრისთვის სათანადო ინფორმაცია სჭირდება.

*მაგალითები*

„მე წამალი მჭირდება“ (-50). თუკი პაციენტი აღნიშნავს მიზეზს, რომლის გამოც მოითხოვს წამალს ან თუკი პროვაიდერმა იცის ეს მიზეზი, მაშინ მოხდება შესაბამისი ანბანური კოდის შერჩევა. მაგალითად, სინუსური ინფექციის დროს კოდი იქნება R50.

„მე მოვედი, რომ მოვიხსნა თაბაშირის ნახვევი“(-54). თუკი ეს ეხება, მაგალითად, მარცხენა ხელის მოტეხილობას, შესატყვისი ანბანური კოდი იქნება L.

„მე დღეს ვარ დაბარებული ნაკერების მოსახსნელად“(-54). მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყველა ნაკერის მოხსნასთან დაკავშირებული საკითხი კანის თავში უნდა მოხვდეს, თუკი პაციენტი მოდის ნაკერების ამოსაღებად ქუთუთოს გაკერვის შემდეგ, კოდი იქნება F54, თუკი ფიმოზის გამო - მაშინ Y54.

4. ანალიზების პასუხები

ამ კომპონენტის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც პაციენტი მოდის ადრე ჩატარებული ანალიზების პასუხის მისაღებად. ამ კომპონენტის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ანალიზების პასუხები უარყოფითია. ხშირად პაციენტი ითხოვს არა მარტო ანალიზების შედეგებს, მას შემდგომი განმარტებები და დამატებითი ინფორმაცია სჭირდება აღნიშნული პრობლემების გამო. ამ შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი კოდი -45 (ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სწავლება, რჩევა).

*მაგალითები*

„სისხლის ანალიზის შედეგების მისაღებად მოვედი".თუ ანალიზი ჩატარდა ანემიის გამო, კოდი არის B60, თუ ლიპიდებზე – T60, თუ პაციენტი ზუსტად არ აღნიშნავს – A60.

„მინდა ვიცოდე, რა გამოჩნდა კუჭის რენტგენოსკოპიის შედეგად, რომელიც წინა კვირას გავიკეთე"(D60).

„მსურს შარდის ანალიზის შედეგების მიღება და მათი უროლოგთან წარდგენა. აგრეთვე მინდა გავიგო, რის გაკეთებას აპირებს ის და რა გამოკვლევები და მკურნალობა არის მოსალოდნელი შემდგომისთვის"(U60, U45).

5. ადმინისტრირება

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიმართვის მიზეზები მოიცავს გამოკვლევებს, რომლებიც მესამე მხარის მიერ არის მოთხოვნილი (ნებისმიერი სხვა პირი ან დაწესებულება, თვით პაციენტის გარდა), სადაზღვევო ფორმებს, რომლებიც უნდა შეივსოს, ან მსჯელობას იმის თაობაზე, სად უნდა გაიგზავნოს ჩანაწერი.

*მაგალითები*

„მჭირდება ამ სადაზღვევო ფორმის შევსება" (A62).

„მოტეხილობა მომირჩა და მჭირდება ცნობა სამსახურში დასაბრუნებლად" (L62).

6. რეფერალი და მიმართვის სხვა მიზეზები

თუკი პაციენტის მიმართვის მიზეზი მის სხვა პროვაიდერთან გაგზავნას უკავშირდება, გამოიყენება კოდები -66; -67; -68. როცა პაციენტის მიმართვის მიზეზად აღინიშნება „გამოგზავნილია ვინმეს მიერ", გამოიყენება კოდი -65.

როდესაც პროვაიდერი იწყებს ახალ ეპიზოდს ან მოითხოვს არსებული ეპიზოდის გაგრძელებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემების გამო, როგორიცაა ჰიპერტენზია, ჭარბი წონა, ალკოჰოლიზმი ან თამბაქოს მოხმარება, მართებულია მიმართვის მიზეზისათვის -64 კოდის გამოყენება.

*მაგალითები*

პაციენტს, რომელიც უჩივის დაგუბებას ყურში გოგირდის სიჭარბის გამო, ყური ამოუსუფთავდა, ამის გარდა, მას გაუზომეს წნევა და ის მაღალი აღმოაჩნდა და ამასთან მისცეს რჩევები თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მიმართვის მიზეზი, მასთან დაკავშირებული პრობლემები და მკურნალობა შემდეგნაირად უნდა ჩაიწეროს:

H13 (ყურის დახშობა), H81 (ყურში გოგირდის სიჭარბე), H51 (ყურიდან გოგირდის ამოსუფთავება).

K64 (პროვაიდერის ინიციატივა), K85 (არტერიული წნევის მომატება), K31 (არტერიული წნევის გაზომვა).

P64(პროვაიდერის ინიციატივა), P17 (თამბაქოს მოხმარება),P45 (რჩევა თამბაქოს მოხმარებისათვის თავის დანებების შესახებ).

7. დიაგნოზი/დაავადება

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი მიმართვის მიზეზად განსაზღვრულ დიაგნოზს ან დაავადებას ასახელებს, ეს უნდა აისახოს მეშვიდე კომპონენტის კოდით. იმ პაციენტის მიმართვის მიზეზი, რომელიც დიაბეტით არის დაავადებული, მაგრამ მოსულია მდგომარეობის გაუარესების ან სისუსტის გამო, არ უნდა აღირიცხოს დიაბეტის კოდით - კოდი უნდა აღნიშნავდეს სისუსტეს (A04). მაგრამ თუ პაციენტი აღნიშნავს, რომ ის დიაბეტის გამო მოვიდა, მაშინ მიმართვის მიზეზში მიეთითება „დიაბეტი“(T90).

თუ პაციენტი მიმართვის მიზეზად აღნიშნავს დიაგნოზს, რომელიც პროვაიდერისათვის ცნობილია, როგორც არასწორი, მიმართვის მიზეზად მაინც აღინიშნება პაციენტის მიერ მოწოდებული „არასწორი“ და არა პროვაიდერისათვის ცნობილი „კორექტული“ მიზეზი. მაგალითად, პაციენტი მიზეზად “შაკიკს“ ასახელებს, პროვაიდერმა კი იცის, რომ ეს „დაძაბულობის თავის ტკივილია“. ან არსებობს პაციენტი, რომლის შესახებაც ცნობილია, რომ მას ცხვირში „პოლიპები“აქვს, მაგრამ ის მიმართვის მიზეზად „თივის ცხელებას“ ასახელებს.

*მაგალითები*

„მოვედი ჰიპერტენზიის გამო“(K86).

„მე ყოველთვიურად გაკითხავთ ბარძაყის ოსტეოართროზის გამო“(L89).

## წესები კომპონენტებისათვის

ქვემოთ მოყვანილია თითოეული კომპონენტის გამოყენებისათვის არსებული წესები, რომლებიც კომპონენტს უფრო დეტალურად აღწერს.

*წესი 1*

როდესაც ციფრობრივი კოდი უკვე მითითებულია ტირეს (-) მეშვეობით, აუცილებელია თავის ანბანური კოდის შერჩევა.როდესაც კონკრეტული თავი ვერ შეირჩა ან თუკი რამდენიმე თავიაგამოსაყენებელი, იხმარება A. იმისათვის, რომ კოდმა დასრულებული სახე მიიღოს, აუცილებელია მისი ანბანური ნიშნულის მითითება.

*მაგალითი*

ბიოფსიის კოდი არის -52, კუჭ-ნაწლავთა სისტემისათვის იქნება D52, ხოლო კანისათვის - S52.

გამოწერილი წამლები აღინიშნება კოდით -50. პაციენტი, რომელსაც დაენიშნა ასთმის წამლები, ჩანიშნული იქნება კოდით R50.

*წესი 2*

თუკი მიმართვისას პაციენტის მიერ მითითებულია რამდენიმე მიმართვის მიზეზი, მაშინ ერთზე მეტი კომპონენტის რუბრიკები ან ერთსა და იმავე კომპონენტისთვის რამდენიმე რუბრიკის გამოყენება შეიძლება.

*მაგალითი*

„წუხელ მაწუხებდა მუცლის ტკივილი და რამდენჯერმე პირღებინება მქონდა“D01, D10.

„მაქვს მუცლის ტკივილი, ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება აპენდიციტი იყოს“D06, D88.

# 4 ICPC-ის გამოყენება ჯანმრთელობის პრობლემებისა და სამედიცინო მომსახურების (ჩარევების) პროცესის აღსაწერად

## ჯანმრთელობის პრობლემები

ICPC-ის გამოყენება შესაძლებელია პროვაიდერის მიერ პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემების შეფასების ჩასაწერად. ეს შეიძლება გაკეთდეს სიმპტომებისა და ჩივილების ან დიაგნოზის ფორმით - ანუ პირველი ან მეშვიდე კომპონენტის გამოყენებით. კომპონენტი 7 დაავადებების, ტრავმების და მათთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების ჩამონათვალს ეფუძნება, რომელიც ICD-ში არის მოცემული, მაგრამ ცალკეული რუბრიკების სახით მხოლოდ პირველადი ჯანდაცვისათვის ზოგად ან მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს.

ჯანმრთელობის პრობლემათა დიდი ნაწილი, რომელიც პირველადი ჯანდაცვის საგანს წარმოადგენს, დაავადებისა ან ტრავმების ტერმინებით ვერ განისაზღვრება. ისინი მოიცავს სიმპტომებსა და ჩივილებს, რომლებიც პირველ კომპონენტში არის ჩამოთვლილი. ხანდახან არ არსებობს ჯანმრთელობის მკაფიოდ განსაზღვრული პრობლემა, რომელიც მომსახურების ეპიზოდში არის შესული - მაგალითად, როდესაც ის იმუნიზაციის აუცილებლობასთან, ან PAP-ტესტთან, ან რჩევასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული ეპიზოდები უნდა აღინიშნოსშემდეგი რუბრიკების გამოყენებით: A97 - ავადმყოფობის არარსებობა ან A98 - ჯანმრთელობის ხელშეწყობა/პრევენციული მედიცინა.

პირველ და მეშვიდე კომპონენტებში ჩამოთვლილია ICD-10-ის შესაბამისი კოდები თითოეული რუბრიკისათვის. არსებობს ზუსტი („ერთი-ერთზე") შესატყვისობები, თუმცა გაცილებით უფრო ხშირად ICPC-2-ის თითოეულ რუბრიკას ICD-ის რამდენიმე კოდი და პირიქით - ICPC-2-ის რამდენიმე კოდი ICD-10-ის ერთ რუბრიკას შეესაბამება. ერთმანეთის შესაბამისობის სრული სტრუქტურა მე-10 თავში არის მოყვანილი.

იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის პრობლემების ICPC-2-ის გამოყენებით კოდირების სიზუსტე, მე-7 კომპონენტის რუბრიკების დიდ ნაწილს შერჩევის კრიტერიუმები აქვს განსაზღვრული. აღნიშნული უფრო ფართოდ მეექვსე თავში არის მოცემული.

პირველი და მეშვიდე კომპონენტების რუბრიკებს ხშირად დამატებითი ინფორმაციაც გააჩნია, რომელიც მათ გამოყენებას აღწერს: სინონიმებისა და ალტერნატიული აღწერების ჩამონათვალი (შერჩევის ტერმინები); მსგავსი პირობების ჩამონათვალი, რომლებიც ყველგან გამორიცხვის ტერმინებში უნდა იყოს კოდირებული; ნაკლებად სპეციფიკური კოდების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება რომ განიხილებოდეს, თუკი პაციენტის მდგომარეობის აღსაწერად შერჩევის ზუსტი კრიტერიუმი არ არსებობს. მსგავსი გაიდლაინები მეორედან მეექვსე კომპონენტისათვის არ არსებობს.

## ჯანმრთელობის პრობლემების კოდირების ზოგადი წესები

მისასალმებელია, რომ მომხმარებლების მიერ თითოეული მიმართვისას, ნებისმიერი პრობლემის (ადმინისტრირება, ორგანული, ფსიქოლოგიური, სოციალური ჯანმრთელობის პრობლემები) აღწერა სამედიცინო მომსახურების ეპიზოდის ფორმით მოხდეს: ჩანაწერი დიაგნოსტიკურად ძალიან ზუსტი უნდა იყოს და მომხმარებელი მასში დარწმუნებული უნდა იყოს, ამავე დროს კონკრეტული რუბრიკის შერჩევის კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს.

მონაცემთა ნებისმიერი სისტემისათვის აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული და სპეციფიკური კრიტერიუმის არსებობა, რომლის მიხედვითაც მოხდება ჯანმრთელობის პრობლემებისა და მომსახურების ეპიზოდების ჩაწერა. კერძოდ, ეს გამოიყენება რაიმე კონკრეტული პირობისა და გამოვლინებებს შორის ურთიერთკავშირისათვის, როდესაც ორივე მათგანი არის ხელმისაწვდომი კლასიფიკატორის რუბრიკების სახით და მაგალითის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს. შესაძლოა, რომ გულის იშემიური დაავადების მქონე პაციენტს ატრიალური მოციმციმე არითმია და შფოთვა აღენიშნებოდეს. უფრო სწორი იქნება, თუკი მათი შერჩევა ცალ-ცალკე ეპიზოდების სახით მოხდება, რომლებიც, შესაბამისად, სხვადასხვა მკურნალობას მოითხოვს. მოყვანილ მაგალითში მოციმციმე არითმია და შფოთვა უნდა ჩაიწეროს მომსახურების დამატებითი ეპიზოდების სახით.

ზოგიერთი სისტემა მოითხოვს, რომ პრობლემების კოდირება მხოლოდ კომპონენტ 1-ის და კომპონენტ 7-ის გამოყენებით მოხდეს, მაგრამ ისეთი სისტემებიც არსებობს, სადაც სხვა კომპონენტების კოდებიც არის მისაღები. მაგალითად, პაციენტი მოვიდა ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრის გასაკეთებლად, თუმცა ამჟამად ტრავმა არ აქვს, მაშინ აღნიშნული პრობლემის კოდი N44 იქნება.

ICPC-სათვის დამახასიათებელია მეტი უპირატესობის მინიჭება ორგანიზმის სხეულის მიხედვით ლოკალიზაციისათვის, ვიდრე ეტიოლოგიის საკითხებისათვის. ამიტომ თუკი ხდება ისეთი პრობლემის კოდირება, რომელიც ეტიოლოგიას უკავშირდება და რამდენიმე თავში არის მოყვანილი (მაგალითად, ტრავმა), საჭიროა შესაბამისი თავის მითითება. თავი A (ზოგადი) უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ზუსტი ლოკალიზაცია ცნობილი არ არის ან დაავადება სხეულის ორზე მეტ სისტემას ეხება. ყველა თავში არის მოცემული სპეციფიკური რუბრიკები, რომლებიც დაავადებისა და ეტიოლოგიის მიხედვით სხეულის სისტემებსა ან ორგანოებზე არის დაფუძნებული. მდგომარეობები, რომლებიც თან ახლავს და ზეგავლენას ახდენს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდზე, როგორც წესი, თავი W-ს კოდებით აღინიშნება, მაგრამ არ ხდება აღნიშნული თავის მიხედვით კოდირება მხოლოდ ორსულობის დასაფიქსირებლად, აუცილებელია სხეულის შესაბამისი სისტემების მიხედვით რუბრიკის შერჩევა. ყველა სოციალური პრობლემა, რომელიც მიმართვის მიზეზის ან პრობლემის სახით არის ჩამოყალიბებული, მე-7 თავის პირველ კომპონენტში არის ჩამოთვლილი.

**ჯანმრთელობის პრობლემების კოდირებისათვის არსებული სპეციფიკური წესები შერჩევის კრიტრიუმების გამოყენებით (იხ. აგრეთვე თავი 5).**

1. დიაგნოზის კოდი მაქსიმალურად სპეციფიკური უნდა იყოს.
2. შერჩევის კრიტერიუმები მოიცავს კრიტერიუმების მინიმალურ რაოდენობას, რომლებიც აუცილებელია რაიმე რუბრიკის კოდის დასაშვებად.
3. კრიტერიუმებთან შედარება ხორციელდება იმის შემდეგ, რაც დიაგნოზის ჩამოყალიბება მოხდა. დიაგნოზების გაიდლაინები არ არსებობს და მათი გამოყენება თერაპიული გადაწყვეტილებების მიღებისათვის არც არის ნავარაუდევი.
4. თუ კრიტერიუმების ჩამონათვალი არ არის დამაკმაყოფილებელი რუბრიკის შესარჩევად, მიმართეთ ნაკლებად სპეციფიკურ რუბრიკებს, რომლებიც მოცემულია პუნქტში *„სხვა შესაძლო“.*
5. იმ რუბრიკებისათვის, რომელთაც შერჩევის კრიტერიუმები არ გააჩნია, გაითვალისწინეთ პუნქტები *„იგულისხმება“* და *„არ იგულისხმება“.*

**სამედიცინო მომსახურების პროცესი, ჩარევები**

ICPC-ის გამოყენება სამედიცინო მომსახურების პროცესში გამოყენებული პროცედურების კლასიფიცირებისათვისაც არის შესაძლებელი. ამისათვის მეორე, მესამე და მეხუთე კომპონენტები და მეექვსე კომპონენტის ნაწილის გამოყენება არის საჭირო, მაგრამ მეოთხე კომპონენტი და მეექვსე კომპონენტის ნაწილი (კერძოდ კი, -63, -64, -65 და -69) ასეთ შემთხვევებში არ იხმარება.

პროცესებთან დაკავშირებული რუბრიკები ფართო და ზოგადი ანუ ნაკლებად სპეციფიკურია, მაგალითად, სისხლის ანალიზი (-34) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორგანიზმის მხოლოდ ერთ სისტემას უკავშირდება, შეიძლება მრავალ სხვადასხვა (ენზიმების, ლიპიდების, ელექტროლიტების) ანალიზს მოიცავდეს.

მეორე, მესამე და მეხუთე კომპონენტებში მოცემული პროცესების კოდების უფრო ღრმა დეტალიზაცია **მოყვანილია კლასიფიკატორში IC–Process–PC, რომელიც WONCA-ს კლასიფიკაციისკომიტეტის მიერ იქნა შემუშავებული**[25]. ამიტომაც არსებობს ICPC და IC–Process–PC შედარების საშუალება. დეტალიზება, რომელიც IC–Process–PC-ში არის მოყვანილი, შეიძლება გამოყენებული იქნას ICPC-ის სამნიშნა კოდებში, თუკი მათი 4 ან 5 ციფრამდე გაფართოება მოხდება.

მეორე, მესამე და მეხუთე კომპონენტები და მეექვსე კომპონენტის ნაწილი სამედიცინო მომსახურების პროცესის კლასიფიცირებისთვის გამოიყენება; რუბრიკების კოდები ორციფრა კოდების დონეზე ყველა თავისთვის სტანდარტულია.

პროვაიდერმა, რომელიც კოდირებას აკეთებს, კოდს ანბანური ნიშნული უნდა დაუმატოს. W, X, Y თავების პირველი და მეშვიდე კომპონენტების რუბრიკათა შეზღუდული რაოდენობა ზოგიერთ ისეთ პროცედურასაც მოიცავს, როგორიცაა მშობიარობა, აბორტი და ოჯახის დაგეგმვა.

კოდირების პროცესის უმთავრესი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოხდეს ყველა იმ ჩარევის კოდირება, რომელიც კონკრეტული მიმართვისას ხორციელდება და რომელსაც სამედიცინო მომსახურების ეპიზოდთან ლოგიკური კავშირი აქვს. მეოთხე და მეხუთე ციფრის აუცილებლობა შეიძლება გაჩნდეს, თუკი უფრო მეტი დეტალიზაცია არის საჭირო. ქვემოთ ამის ამსახველი მაგალითები არის მოყვანილი:

*მაგალითი 1*

-54 აღდგენა / ფიქსაცია / გაკერვა / იმობილიზაციის საშუალება / პროთეზი
L54.1 იმობილიზაციის საშუალების გაკეთება
L54.2 იმობილიზაციის საშუალების მოხსნა

*მაგალითი 2*

-40 დიაგნოსტიკური ენდოსკოპია
D40 კუჭ-ნაწლავთა სისტემის დიაგნოსტიკური ენდოსკოპია
D40.1 გასტროსკოპია

თითოეული მიმართვისათვის ერთზე მეტი პროცესის კოდი შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგრამ მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობის დაცვა. მაგალითად: წნევის გაზომვა, რომელიც ჰიპერტენზიისას რუტინულ პროცედურას წარმოადგენს, ნებისმიერ შემთხვევაში კოდით K31 უნდა აღინიშნოს. რუტინული გასინჯვა, სრული ან ნაწილობრივი, როგორც სხეულის სისტემებისათვის, ისე ზოგადი თავის შემთხვევისთვის ასევე ერთგვაროვნად უნდა იყოს კოდირებული. ქვემოთ მოყვანილია სრული და ნაწილობრივი გასინჯვის განსაზღვრებების მაგალითები, რომლებიც ერთიანი სახით გამოიყენება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ქვეყანა საკუთარ განსაზღვრებას იყენებს იმისთვის, რომ აღნიშნოს „სრული გასინჯვა - ზოგადი“ და „სრული გასინჯვა - სხეულის სისტემა“, ამგვარად საჭიროა ამ ტერმინების შესაბამისი გამოყენება. ამის გარდა, ტერმინები „ნაწილობრივი გასინჯვა - ზოგადი“ ან „ნაწილობრივი გასინჯვა - სხეულის სისტემა“ კონკრეტული ქვეყნისათვის სათანადო აზრობრივ დატვირთვას უნდა ატარებდეს.

### სრული გასინჯვა

ტერმინი „სრული გასინჯვა“ გულისხმობს, რომ გასინჯვა მოიცავს პროფესიული შეფასების ისეთ ელემენტებს, რომლებიც ადგილობრივი პროფესიონალების ჯგუფის მიერ შეთანხმებული პოზიციის თანახმად სამედიცინო მომსახურების ჩვეულებრივ სტანდარტებს შეესაბამება. ასეთი სრული გასინჯვა შეიძლება სხეულის რომელიმე სისტემას (მაგალითად, თვალი - თავი F ) ან ზოგად გასინჯვას (თავი A ) მოიცავდეს.

### ნაწილობრივი გასინჯვა

ტერმინი „ნაწილობრივი გასინჯვა“ ნებისმიერ თავში გულისხმობს გასინჯვას, რომელიც შესაბამის ორგანოთა სისტემაზე ან ფუნქციაზე არის მიმართული. როდესაც შეზღუდულ ან არასრულ გასინჯვაში ორზე მეტი სისტემაა ჩართული, ის აღინიშნება როგორც ზოგადი (თავი A). მიმართვათა უმრავლესობა მოიცავს ან ნაწილობრივ გასინჯვას, რომელიც მწვავე მდგომარეობის ან მარტივი დაავადების შეფასებაზე არის მიმართული, ან განმეორებით ვიზიტს ქრონიკული დაავადების შემთხვევაში. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები:

სრული გასინჯვა - ზოგადი = A30

სრული ნერვოლოგიური გასინჯვა = N30

ნაწილობრივი გასინჯვა - ზოგადი, ორგანიზმის ზოგიერთი სისტემის არასრული გასინჯვა, მაგალითად: რესპირაციული, ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის = A31

ნაწილობრივი გასინჯვა - ორგანიზმის სისტემა, წნევის გაზომვა = K31

WONCA-ს კლასიფიკაციის კომიტეტის თანახმად, რუტინულ გასინჯვაში შემავალი შემდეგი პროცედურები შესაბამის რუბრიკებში უნდა აღინიშნოს კოდებით - 30 და -31:

- დათვალიერება, პალპაცია, პერკუსია, აუსკულტაცია;
- მხედველობის შემოწმება და თვალის ფსკერის დათვალიერება;
- ოტოსკოპია;
- ვიბრაციის შემოწმება (გამოკვლევა კამერტონის გამოყენებით);
- ვესტიბულარული ფუნქცია (კალორიმეტრიული ტესტების გარდა);
- სწორი ნაწლავის და საშოს თითით გამოკვლევა;
- წნევის გაზომვა;
- არაპირდაპირი ლარინგოსკოპია;
- წონა / სიმაღლე.

ყველასხვა სახის გასინჯვა სხვა რუბრიკებში უნდა იყოს შეტანილი.

**კომპონენტი 2 - დიაგნოსტიკა, სკრინინგი და პრევენციული პროცედურები**

დიაგნოსტიკური და პრევენციული პროცედურები სამედიცინო მომსახურების სახეობათა ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორისაა: იმუნიზაცია, სკრინინგი, რისკის შეფასება, სწავლება, კონსულტირება.

**კომპონენტი 3 - მედიკამენტები, მკურნალობა, პროცედურები**

ეს კომპონენტი პირველადი ჯანდაცვის პროვაიდერის მიერ ჩატარებული პროცედურების კლასიფიცირებას ახდენს. არ იგულისხმება, რომ ის გამოიყენება ისეთი პროცედურების დასაფიქსირებლად, რომლებიც იმ პროვაიდერის მიერ ჩატარდა, რომელთანაც პაციენტი იქნა გაგზავნილი; ამ შემთხვევაში პროცედურების ბევრად უფრო ფართო ჩამონათვალი არის საჭირო. იმუნიზაციის კოდირება მეორე კომპონენტში წარმოებს.

## კომპონენტი 4 - ანალიზების პასუხები

კომპონენტი 4 პროცესს ან ჩარევებს არ მოიცავს.

## კომპონენტი 5 - ადმინისტრირება

აღნიშნული კომპონენტი მიმართულია ისეთი შემთხვევების დასაფიქსირებლად, როდესაც საჭიროა პროვაიდერის მიერ პაციენტისთვის ან სხვა ორგანიზაციისათვის შევსებული საბუთისა ან ფორმის მიწოდება, რაც არსებული რეგულაციებით, კანონებით ან კანონქვემდებარე აქტებით არის გათვალისწინებული. მიმართვის (რეფერალის) ფორმის შევსება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედის ადმინისტრაციულ მომსახურებაში, თუკი ეს იყო ერთადერთი აქტივობა, რომელიც მიმართვისას ჩატარდა - ყველა სხვა შემთხვევაში ის მეექვსე კომპონენტში შედის.

## კომპონენტი 6 - რეფერალი და მიმართვის სხვა მიზეზები

პირველადი ჯანდაცვის სხვა პროვაიდერთან, ექიმებთან, ჰოსპიტალში, კლინიკებში ან სხვა დაწესებულებაში რაიმე თერაპიულიან საკონსულტაციო მიზნებით გაგზავნა მეექვსე კომპონენტის კოდებით უნდა აღინიშნოს. რენტგენოგრაფიაზე ან ლაბორატორიულ გამოკვლევებზე გაგზავნა მეორე კომპონენტითხდება.

უფრო დეტალიზებული აღნიშვნისთვის შეიძლება მეოთხე ციფრის დამატება. მაგალითად:

- 66 გაგზავნა სხვა მიმწოდებელთან (ექთანთან / ფსიქოლოგთან / სოციალურ მუშაკთან)
  - 66.1 ექთანი
  - 66.2 ფსიქოლოგი
  - 66.3 სოციალური მუშაკი

- 67 სპეციალისტი
  - 67.1 თერაპევტი
  - 67.2 კარდიოლოგი
  - 67.3 ქირურგი

# 5 შერჩევის კრიტერიუმები ICPC-ში

## შესავალი

WONCA-ს კლასიფიკაციის კომიტეტისთვის ყოველთვის ნათელი იყო, რომ პირველადი ჯანდაცვის დონეზე არსებული პრობლემების კლასიფიცირებისათვის საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ რუბრიკების ჩამონათვალს არ ძალუძს სტატისტიკური შედარებადობის უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფა. კოდირების შესატყვისობის უზრუნველყოფისათვის 1983 წელს გამოიცა პირველადი ჯანდაცვის დონეზე არსებული ჯანმრთელობის პრობლემების საერთაშორისო კლასიფიკაცია ICHPPC-2-გაუმჯობესებული (ICHPPC-2-Defined), რომელიც თითოეული რუბრიკის გამოყენებისათვის განკუთვნილ შერჩევის კრიტერიუმებს მოიცავდა.

შერჩევის კრიტერიუმები განსაზღვრებათა იდენტური არ არის, შერჩევის კრიტერიუმები მიზნებთან მიმართებაში განიხილება და კოდირების შესატყვისობას უზრუნველყოფს, მაშინ როდესაც განსაზღვრებების მეშვეობით მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემათა აღწერა ხდება. მაგრამ გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული იმისათვის, რომ მათ შორის შედარებადობა არსებობდეს, როგორც ეს დაავადებათა საერთაშორისო ნომენკლატურაში (IND) არის.

წინამდებარე პუბლიკაციაში შეტანის კრიტერიუმთა დიდი ნაწილი, რომელიც ICHPPC-2-Defined-ში იყო მოცემული, განახლდა და ICPC-ის რუბრიკებს პირდაპირ დაუკავშირდა. ზოგიერთ შემთხვევაში ახალი ან ფართოდ მოდიფიცირებული შერჩევის კრიტერიუმები ჩამოყალიბდა, ამისათვის გამოყენებული იქნა თეორიული ჩარჩო, რომელიც შემდეგ ნაწილში არის აღწერილი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პუბლიკაცია ზოგადი/საოჯახო პრაქტიკის საკმაოდ მაღალ დონეზესისტემატიზაციის საშუალებას იძლევა, ის მაინც არ არის იდეალური. ICPC არის კლასიფიკატორი, რომელიც ევოლუციას განიცდის, და ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა შერჩევის კრიტერიუმებთან მიმართებაში და ამ წიგნში არის მოცემული, შემდგომი წლების განმავლობაში აუცილებლად კლასიფიკატორის გასაუმჯობესებლად იქნება გამოყენებული. ამიტომ ჩვენ მომხმარებლების მიერ მოწოდებულ ნებისმიერ კომენტარს მივესალმებით.

## შერჩევის კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებელი თეორიული ჩარჩო

თეორიული ჩარჩო, რომელიც წინამდებარე კლასიფიკატორში შერჩევის კრიტერიუმების (თავი 8 – „კრიტერიუმები“) ჩამოსაყალიბებლად გამოიყენება, პირველად ჯანდაცვაში არსებულ დიაგნოზთა ოთხ ზოგად კატეგორიას ეფუძნება. ესენია: დაავადების ეტიოლოგიური და პათოლოგიური არსი, პათოფიზიოლოგიური სტატუსი, ნოზოლოგიური დიაგნოზები (სინდრომები) და სიმპტომური დიაგნოზები. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ თითოეული კატეგორიის მახასიათებლებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პრინციპი გამოყენებულიყო:

- *ეტიოლოგიური და პათოლოგიური:* დიაგნოზი ეტიოლოგიურად ან პათოლოგიურად დასტურდება. შერჩევის კრიტერიუმები დაავადების სტანდარტულ დეფინიციას ეფუძნება; თუკი საჭიროა ზოგადი/საოჯახო პრაქტიკისათვის გარკვეული დაშვებების არსებობა - ხდება მოდიფიცირება. მაგალითად: აპენდიციტი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.
- *პათფიზიოლოგიური:* დიაგნოზს დადასტურებული პათფიზიოლოგიური საფუძველი გააჩნია; შერჩევის კრიტერიუმები სიმპტომებს და ჩივილებს მოიცავს. მაგალითად, მოხუცებულობის სმენის დაქვეითება, ჰიპერტენზია.
- *ნოზოლოგიური:* დიაგნოზი სიმპტომთა კომპლექსზე არის დამოკიდებული, რომელიც ექიმების მიერ არის შეთანხმებული, მაგრამ პათოლოგიური, პათფიზიოლოგიური ან ეტიოლოგიური საფუძველი არ გააჩნია; მას ხშირად სინდრომი ეწოდება. შერჩევის კრიტერიუმები მხოლოდ სიმპტომებსა და ჩივილებს მოიცავს. მაგალითად: დეპრესია, შინაგანი ორგანოების გაღიზიანების სინდრომი.
- *სიმპტომი:* ეპიზოდის საუკეთესო სამედიცინო ნიშანს სიმპტომი ან ჩივილი წარმოადგენს. მაგალითად: დაღლილობა, თვალის ტკივილი.

## კრიტერიუმები

წინამდებარე წიგნში გამოყენებული უმთავრესი პრინციპია **„ყველაზე მოკლე შესაძლებელი შერჩევის კრიტერიუმები, რომლებსაც კოდირების ცვალებადობის მინიმუმამდე დაყვანა ძალუძს“**. აღნიშნული პრინციპის დაცვა თითოეული რუბრიკისთვის *მინიმალური შერჩევის კრიტერიუმების* გამოყენებას ნიშნავს. ეს შემდგომ დეტალიზაციას მოითხოვს.

დიაგნოსტიკური რუბრიკების უმრავლესობას ერთი ან მეტი კრიტერიუმი გააჩნია, რომელიც აღნიშნული სათაურით მოცემული პრობლემის კოდირებისას უნდა შეივსოს. ხანდახან კრიტერიუმების არჩევის საშუალება არსებობს, ზოგჯერ კი კრიტერიუმები გარკვეულ ჩამონათვალს უნდა პასუხობდეს. როდესაც ჩამონათვალში არის სიტყვა „ან“, ის ჩართვის თვალსაზრისით იხმარება, ეს იგივეა, რაც აღნიშნული იყოს ტერმინით „და/ან“.წინამდებარე წიგნში სიტყვა „მრავლობითი“ სამს ან მეტს ნიშნავს.

ძალისხმევა, რომელიც *მინიმალური კრიტერიუმების* განსაზღვრაზე იყო მიმართული, კოდირების სირთულისდა შესაბამისად, არასწორი კოდირების თავიდან ასაცილებლად იყო აუცილებელი. ამის გარდა, მხოლოდ ისეთი კრიტერიუმები იქნა შეტანილი, რომლებსაც საკმარისი *სელექციურობის დონე* გააჩნიათ, ეს რუბრიკების ერთმანეთისგან განსხვავების და მათი ერთმანეთში არევის თავიდან აცილებისკენ იყო მიმართული. ზოგიერთ შემთხვევაში მისაღები კრიტერიუმების სიმცირე, *ყველა* სხვა შესაძლო პირობის გამორიცხვის საშუალებას არ იძლევა, შედეგად კი შეიძლება კოდირებას შეცდომა მოჰყვეს, თუმცა ზოგადი შემთხვევების გამორიცხვა მაინც შეიძლება.

კრიტერიუმები შეძლებისდაგვარად უფრო კლინიკურ მახასიათებლებს, ვიდრე საჭირო გამოკვლევებისა და ანალიზების შედეგებს უნდა ეფუძნებოდეს. ეს, რამდენადაც შეიძლება, ტექნოლოგიებისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რადგანაც ისინი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან განსხვავებულია და სწრაფადაც იცვლება.

ზემოაღნიშნული კი მათი პირველადი ჯანდაცვისათვის მთელ მსოფლიოში გამოყენების საშუალებას იძლევა.

ზემოხსენებული მიდგომა დაავადებებზე ორიენტირებული სახელმძღვანელოების მიდგომისაგან ძალიან განსხვავდება. მასში, როგორც წესი, ყველა ნიშნისა და სიმპტომის ჩამონათვალი ან ყველა ის შესაძლებელი კრიტერიუმი არის მოყვანილი, რომელიც კონკრეტულ დიაგნოსტიკურ დასახელებასთან არის ასოცირებული. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პირველადი ჯანდაცვის დონეზე კრიტერიუმებზე დაფუძნებული პრობლემათა მოკლე ჩანაწერების კოდირების მაქსიმალური გამოყენება ამომწურავ სისრულეს მოგვცემს.

ზოგ შემთხვევაში თვითონ რუბრიკის სათაური ადეკვატურად სპეციფიკურია. ასეთ შემთხვევაში შერჩევის კრიტერიუმები მოცემული არ არის. შეცდომების თავიდან ასაცილებლად თითოეული რუბრიკა თავისი შერჩევისა და გამორიცხვის ტერმინებითურთ და შერჩევის კრიტერიუმებით მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს .

არ გადადგმულა ნაბიჯები იმისათვის, რომ თითოეული რუბრიკის შესატყვისი კრიტერიუმები ჩამოყალიბებულიყო, განსაკუთრებით კი იმ დარჩენილი რუბრიკების შემთხვევაში, რომლებიც მრავალ, ერთმანეთისგან განსხვავებულ დიაგნოზს მოიცავენ. ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელმა დიაგნოზების და შერჩევის ტერმინების ცხრილურ ჩამონათვალს, რომელიც რუბრიკის სათაურში არის მოყნანილი, ან ICD-10-ის შესაბამისი რუბრიკების უფრო სრულ ჩამონათვალს უნდა მიმართოს.

## ჯვარედინი კავშირები

შერჩევის კრიტერიუმებთან ერთად თითოეულ რუბრიკას შემდეგი ინფორმაცია შეიძლება გააჩნდეს:

- ***იგულისხმება:*** რუბრიკაში მოცემული ტერმინის სინონიმებისა და ალტერნატიული აღწერილობების ჩამონათვალი;
- ***არ იგულისხმება:*** მსგავსი მდგომარეობები, რომელთა კოდირება უნდა მოხდეს, სხვა შესატყვისი კოდის გამოყენებით;
- ***სხვა შესაძლო კოდი:*** სხვა რუბრიკები (კოდებით), როგორც წესი, ნაკლებად სპეციფიკური, რომლებიც გამოიყენება, როდესაც კონკრეტული მდგომარეობა შესაბამის შერჩევის კრიტერიუმებს არ პასუხობს.

## არსებული ჩარჩოს უპირატესობანი

მოყვანილი ჩარჩო გამოიყენება მკაფიოდ განსაზღვრული და ზოგადად მისაღები შერჩევის კრიტერიუმებით, რომლებიც იხმარება ზოგადი/საოჯახო პრაქტიკის შემთხვევებისათვის და სათანადო კოდირებისათვის შერჩევის კრიტერიუმებს მოითხოვს.

აღნიშნული ჩარჩოს უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მინიმალური შერჩევის კრიტერიუმების კოდირებისთვის გამოყენება ზოგადი/საოჯახო პრაქტიკის შესასწავლად და მოხმარებისთვის ადვილია. ამას კი პრობლემების ურთიერთკოდირებისვარიაციების შემცირების საშუალება აქვს.

## შერჩევის კრიტერიუმების გამოყენება

შერჩევის კრიტერიუმები მიმართვის მიზეზის დასაფიქსირებლად **არ უნდა იყოს გამოყენებული**, რადგანაც ამის კოდირება პაციენტის მიერ წარმოდგენილი და ექიმის მიერ გაგებული ინფორმაციის ტერმინებში ხდება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა პაციენტი „სწორი“.

შერჩევის კრიტერიუმები ექიმის მიერ დიაგნოზისა ან პრობლემების კოდირებისას **უნდა იყოს გამოყენებული**. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პრობლემას სიმპტომის ან ჩივილის სახით ენიჭება კოდი, გარკვეული სახელმძღვანელო არის საჭირო ყველაზე შესატყვისი კოდის შესარჩევად. მაგალითად: გულის წასვლის შეგრძნებას (N17) არ მიენიჭება იგივე რუბრიკის კოდი, როგორც გონების დაკარგვის/გულის წასვლის შემთხვევაში (A06); ტკივილი მუცლის არეში შეიძლება იყოს გენერალიზებული (D01), ეპიგასტრიუმის არეში (D02) ან სხვა ლოკალიზაციის (D06). მომხმარებლის მიერ საჭიროებები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რათა ყველაზე მისაღები ალტერნატივის გამოყენება გახდეს შესაძლებელი.

## კრიტერიუმების სხვადასხვა ეტაპზე გამოყენება

შერჩევის კრიტერიუმები თავდაპირველად პრობლემის საწყის ეტაპზე წარმოდგენისას კოდირებისთვის შემუშავდა. თუკი პრობლემის კოდირების საკითხი შემდგომი მიმართვისას (მას შემდეგ, რაც მისი დროში სახეცვლილება ან თერაპიის გამოყენება მოხდა) დგება, კოდის მიმნიჭებელმა მანამდე არსებული ინფორმაცია უნდა გაითვალისწინოს (მაგალითად, ჰიპერტენზიის მქონე პაციენტს თერაპიის შედეგად უკანასკნელი კონსულტაციებისას წნევა ნორმალური ჰქონდა, მაგრამ კოდირება მაინც ჰიპერტენზიით ხდება).

## სისტემის ნაკლოვანებები

ცხადია, რომ მოყვანილი შერჩევის კრიტერიუმების სისტემას ნაკლოვანებებიც გააჩნია. ზოგადი/ოჯახის პრაქტიკის სტატისტიკური მონაცემების სიზუსტისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად მოხდა დიაგნოსტიკური კონცეფციების გაუმჯობესება, რადგანაც მრავალი მათგანი გარკვეული უზუსტობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მკაფიოდ განსაზღვრული ჩარჩოების არსებობა თერაპიისა ან მართვის შემთხვევაში შეიძლება აუცილებელი არც იყოს, გამოკვლევების მიზნებისთვის მონაცემთა სიზუსტეა საჭირო. ზუსტად განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების გამოყენებით დარჩენილი, ნაკლებად სპეციფიკური რუბრიკების რაოდენობის გაზრდა არის შესაძლებელი, მაგრამ ეს მაინც უფრო მისაღები ვარიანტია. იმ პრობლემების კოდირებისას, რომლებიც მოცემულ კრიტერიუმებს სრულად არ ემთხვევა, ნაკლებად სპეციფიკური ალტერნატივები მოცემულია ნაწილში „განსახილველი“; მსგავსი წინადადებები დამატებით არის მოცემული ისეთი შემთხვევებისათვის, რომლებიც რუბრიკებში „გამორიცხულის“ სახით არსებობს.

## ზოგიერთი შესაძლო გაუგებრობა

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მკითხველმა ნათლად გააცნობიეროს ზოგიერთი რამ, რაც კრიტერიუმებს არ მოეთხოვება.

1. *კრიტერიუმები დიაგნოზების სახელმძღვანელოს სახით არ არის ჩამოყალიბებული.* კლასიფიკატორის უპირველესი მიზანია დიაგნოზის დასმის შემდეგ არასწორი კოდირების შესაძლებლობის შემცირება და არა დიაგნოსტირების შეცდომის თავიდან აცილება. იგულისხმება, რომ მომხმარებელი ჯერ სხვადასხვა დიაგნოზებს განიხილავს და შემდეგ იწყებს კოდირებას. შემთხვევათა უმრავლესობაში კარგი სამედიცინო პრაქტიკა მოითხოვს, რომ ზუსტი დიაგნოზის დასასმელად უფრო მეტი ინფორმაციის გამოყენება მოხდეს, ვიდრე ეს შერჩევის კრიტერიუმებში არის მოცემული.
2. *კრიტერიუმები სამედიცინო მომსახურების სტანდარტებს არ იძლევა.* მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიკატორის გამოყენებით მიღებული ინფორმაცია შესაძლოა სამედიცინო კონცეფციებს ცვლიდეს და საბოლოო ჯამში, სამედიცინო მომსახურების სტანდარტებზე ზემოქმედებდეს, შერჩევის კრიტერიუმებს მხოლოდ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება მოეთხოვება.
3. *კრიტერიუმები თერაპიის სახელმძღვანელოს სახით არ მოქმედებს.* კრიტერიუმები. რომლებიც რაიმე პირობის შერჩევისა ან გამორიცხვის მიზნით არის მოცემული, სავალდებულოდ სხვადასხვა თერაპიის გამოყენების კრიტერიუმებს არ უკავშირდება. მაგალითად, პრაქტიკოსმა ექიმმა გადაწყვიტა, რომ შაკიკის თერაპია აქვს დანიშნული პაციენტს, რომლის მიმართაც არსებობს მონაცემები, რომლებიც ამ სათაურისათვის არსებული კრიტერიუმებისათვის არ არის დამაკმაყოფილებელი, და მისი მდგომარეობის კოდი აღნიშნა როგორც „თავის ტკივილი“.

## წყაროები

კომიტეტი არ თვლის სავალდებულოდ ახალი განსაზღვრებების ჩამოყალიბებას, ის არსებული შერჩევის კრიტერიუმებს ეფუძნება, თუკი ისინი მოყვანილი მიზნების შესატყვისი არის. ფაქტიურად, რამდენიმე არსებული განსაზღვრება აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებს, რადგანაც მათი უმრავლესობა უფრო მეტად კვლევითი პროექტებისათვის და ნაკლებად კლინიკური პრაქტიკისათვის იქნა შემუშავებული და ამგვარად საკმაოდ მოუქნელია. თუმცა აქ მოყვანილი შერჩევის კრიტერიუმებიდაავადებათა ყველაზე სტანდარტული დეფინიციების მიმართაც არის თავსებადი.

ბოდიშს ვიხდით, თუკი შემთხვევით ზოგიერთი ნაშრომი მადლიერების გამოხატვის გარეშე იქნა გამოყენებული: კოპირება ხომ პირფერობის საუკეთესო ფორმაა.

# 6 დაავადებათა სიმძიმის კოდირება

## დაავადებათა სიმძიმის კოდირების განვითარება

1993 წლიდან WONCA-ს კლასიფიკაციების კომიტეტი Duke-ის დაავადებათა სიმძიმის ჩამონათვალის (DUSOI) სისტემის[26] საერთაშორისო მოხმარებისთვის გაუმჯობესებას ახორციელებს. აღნიშნული სისტემის ტესტირება (WONCA-ს დაავადებათა სიმძიმის საველე გამოცდები - WONCA-SIFT) 16 ქვეყანაში ჩატარდა[27]. კომიტეტმა დაადგინა: მეთოდის აუცილებლობა იმით არის განპირობებული, რომ ექიმებს, როგორც ჯანმრთელობის თითოეული პრობლემის დასახელების, ისე მისი სიმძიმის დონის კოდირების საშუალება უნდა ჰქონდეთ. ეს სამედიცინო მომსახურების ეპიზოდებისა და თითოეული მიმართვის შემთხვევაში არსებულ პრობლემებს ეხება (იხ. ნახ. 2).

დღეისათვის საერთაშორისო კლასიფიკაციების სისტემათა შორის ICPC არის ერთადერთი კლასიფიკატორი, რომელიც თითოეული პაციენტისათვის ჯანმრთელობის პრობლემათა სიმძიმის მიხედვით კლასიფიცირების საშუალებას იძლევა. დაავადების სიმძიმის კოდირების სისტემა (DUSOI/WONCA) არის გაფართოებული სისტემა, რომელიც ექიმს ან ჯანდაცვის სხვა მუშაკს არა მარტო პრობლემის სტანდარტიზებული დასახელებისა და კლასიფიკაციის კოდის, არამედ დაავადების სიმძიმის სტანდარტიზებული კოდის შერჩევის საშუალებასაც აძლევს. ამ კოდით სხვადასხვა პაციენტებისათვის ერთსა და იმავე ჯანმრთელობის პრობლემის არსებობის დროს დაავადების სიმძიმის განსაზღვრა ხდება. რადგანაც დაავადების სიმძიმის პარამეტრები და სისტემის კრიტერიუმები ზოგადი და არა პრობლემა-სპეციფიკურია, ისინი ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. ასეთი ზოგადი თვისება შეფასების ერთგვაროვან სტანდარტებზე დაფუძნებული ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების სიმძიმის შეფასების საშუალებას იძლევა. როგორც WONCA-SIFT საველე გამოკვლევამ ცხადყო, ეს სისტემა ოჯახის/ზოგადი პრაქტიკის ექიმების მიერ კლინიკური გამოყენებისთვის მოქნილი აღმოჩნდა.

## დაავადებათა სიმძიმის კოდირება

DUSOI/WONCA-ს დაავადებათა სიმძიმის კოდირების სისტემა ICPC-ის ჯანმრთელობის პრობლემათა სიმძიმის მიხედვით კლასიფიცირებისათვის გამოყენების საშუალებას იძლევა. დაავადების სიმძიმის კოდირებისათვის სამედიცინო მომსახურების პროვაიდერი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირებას პაციენტის მიმართვის მომენტში ახდენს და ამავე დროს განსაზღვრავს, ამ კონკრეტული პაციენტისათვის მოცემულ მომენტში რამდენად მძიმეა არსებული პრობლემა.

სიმძიმე ოთხი ძირითადი ზოგადი პარამეტრით განისაზღვრება:

1. უკანასკნელი კვირის განმავლობაში არსებული *სიმპტომები.*
2. უკანასკნელი კვირის განმავლობაში არსებული *გართულებები.*
3. შემდგომი ექვსი თვის *პროგნოზი,* თუკი მკურნალობა არ ჩატარდება.
4. *განკურნებადობა* - კონკრეტული პაციენტისთვის მკურნალობის განხორციელების აუცილებლობა და მკურნალობის მოსალოდნელი შედეგი.

ნახ.4 მოცემულია შევსებული ფორმის მაგალითი. მასში პროვაიდერი ჯონ სმიტი ჯანმრთელობის იმ პრობლემებს აღნუსხავს, რომლებითაც მას პაციენტმა მერი ჯონსმა 1995 წლის 5 ოქტომბერს მიმართა. მაგალითის ყველა ფორმაში პოდაგრა არის ჩაზეჭდილი, მაგრამ ის ამ პაციენტს არ ეხება. თუკი პაციენტ ჯონსს პოდაგრა აქვს, პროვაიდერს პოდაგრის ხელახლა აღნიშვნა შეუძლია. უნდა შეფასდეს მისი სიმძიმე პაციენტ მერი ჯონსისთვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პაციენტს გულის იშემიური დაავადება გააჩნია სტენოკარდიის, შაქრიანი დიაბეტისა და მწვავე ბრონქიტის გარეშე.

## საწყისი ქულები

დაავადების სიმძიმის საწყისი ქულები, რომლებიც სიმძიმის ამსახველი ოთხი პარამეტრისათვის არის შესაძლებელი, DUSOI/WONCA-ს ფორმის ქვედა ნაწილშიმოცემულ დიდ უჯრაში არის მოცემული. ნახ.4 განხილულია სტენოკარდიის გარეშე გულის იშემიური დაავადების მაგალითი (K76). *სიმპტომთა* სიმძიმე შეფასდა „2“-ით (0-დან 4-მდე შესაძლებელიდან), რადგანაც მოცემულ მომენტში პაციენტი თვლიდა, რომ მსუბუქი დონის სიმპტომები ჰქონდა. დაავადების სიმძიმე გართულებების თვალსაზრისით შეფასდა როგორც „0“, რადგანაც გულის იშემიური დაავადების კლინიკურად დადასტურებული გართულებები არ არსებობდა. DUSOI/WONCA-ს შეფასებებშიგართულება არის„ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ჯანმრთელობის სხვა პრობლემასთან მიმართებაში მეორად ხასიათს ატარებს, მაგრამ არ არის ჩაწერილი და შეფასებული, როგორც ცალკე არსებული პრობლემა“. იმ შემთხვევაში, როდესაც *გართულება* ფორმაში როგორც განცალკევებული პრობლემა არის შეტანილი, ეს ცალკე ჩანაწერი საწყისი ჯანმრთელობის პრობლემის სიმძიმის შეფასებაში არ უნდა იყოს შეტანილი, რადგანაც გართულების ქულების დათვლისასამას შესაძლოა ორმაგი წონის მინიჭება მოჰყვეს. ნახ.4 მოცემული გულის იშემიური დაავადების *პროგნოზი* შეფასებულია ციფრით „4“ , რადგანაც პროვაიდერის კლინიკური შეფასებით, თუკი არ ჩატარდება სათანადო მკურნალობა, მიმართვიდან 6 თვის განმავლობაში პაციენტის სიკვდილი არის მოსალოდნელი. თუკი ექიმი სმიტი თვლის, რომ მერი ჯონსი მკურნალობის გარეშე არ მოკვდება, მაგრამ დაავადებას მისი ზოგადი უუნარობა მოჰყვება, მაშინ პროგნოზისთვის მისაღებია შეფასება „3“.

DUKE/WONCA–ს დაავადების სიმძიმის შეფასების კითხვარი: DUSOI/WONCA* პაციენტი: მერი ჯონსი

დაბადების თარიღი: 06.11.1925 ქალი: √ კაცი: ___ პროვაიდერი: ჯონ სმიტი მიმართვის თარიღი: 05.10.1995

| ჯანმრთელობის პრობლემები (განხილული ამ მიმართვის დროს) | საწყისი ქულები (ციფრები 0-4)** სიმპტომები | გართულებები | პროგნოზი | განკურნებადობა | სულ საწყისი ქულა (0-16) | სიმძიმის კოდი*** (0-4) | ICPC-ის კოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაგალითი: პოდაგრა | 3 | 1 | 3 | 2 | 9 | 3 | T92:3 |
| გულის იშემიური დაავადება<br>1. სტენოკარდიის გარეშე | 2 | 0 | 4 | 2 | 8 | 2 | K76:2 |
| 2. შაქრიანი დიაბეტი | 0 | 0 | 2 | 2 | 4 | 1 | T90:1 |
| 3. მწვავე ბრონქიტი | 3 | 0 | 2 | 2 | 7 | 2 | R78:2 |
| 4. ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ |
| 5. ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ |
| 6. ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ | ___ |

(გამოიყენეთ დამატებითი გვერდები, თუკი არის ექვსზე მეტი ჯანმრთელობის პრობლემა.)

**საწყისი ქულები

| | არ იყო | სათუო | მსუბუქი | საშუალო | მნიშვნელოვანი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სიმპტომები (უკანასკნელ კვირაში): | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 2. გართულებები (უკანასკნელ კვირაში): | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |

| | უუნარობა: არა | მსუბუქი | საშუალო | მნიშვნელოვანი | სიცოცხლისთვის საშიში |
|---|---|---|---|---|---|
| 3. პროგნოზი (შემდეგი 6 თვე, მკურნალობის გარეშე): | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |

| | მკურნალობის აუცილებლობა: არა | სათუო | თუ კი →→ | მკურნალობის მოსალოდნელი შედეგი: კარგი | სათუო | ცუდი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4. განკურნებადობა: | 0 | 1 | | 2 | 3 | 4 |

***სიმძიმის კოდები

| სულ საწყისი* ქულა | | სიმძიმის კოდი | სიმძიმე |
|---|---|---|---|
| 0 | = | 0 | არ არსებობს |
| 1-4 | = | 1 | მცირე |
| 5-8 | = | 2 | საშუალო |
| 9-12 | = | 3 | საშუალოზე მაღალი |
| 13-16 | = | 4 | მაქსიმუმი |

*Copyright © 1996, Department of Community and Family Medicine, Duke University Medical Center, Curham, NC, USA

**ნახ.4.** Duke/WONCA–ს დაავადების სიმძიმის შეფასების კითხვარი: DUSOI/WONCA.

უუნარობა არის „ადამიანის ყოველდღიური ფუნქციონირების უნარის შეზღუდვა". ზოგადი უუნარობა (შეფასება „3") განისაზღვრება, როგორც „ჩვეულებრივი აქტივობის დიდი ნაწილის შეზღუდვა და დანარჩენი აქტივობებისათვის მნიშვნელოვანი დახმარების აუცილებლობა". მსუბუქი უუნარობა (შეფასება „1") "ჩვეულებრივი აქტივობის მცირე შეზღუდვას" და საშუალო დონის უუნარობა (შეფასება „2") ჩვეულებრივი აქტივობის დიდი ნაწილის შეზღუდვასა და დანარჩენისათვის მცირე დახმარების აუცილებლობას ნიშნავს. მოცემულ მაგალითში განკურნებადობა ორი ქულით შეფასდა, რადგანაც პროვაიდერმა გადაწყვიტა, რომ ამ პაციენტს ესაჭიროება მკურნალობა და მკურნალობის კარგი შედეგი არის მოსალოდნელი.

## დაავადების სიმძიმის კოდები

იმისათვის, რომ განისაზღვროს დაავადების სიმძიმის აღმნიშვნელი ერთციფრა კოდი, თითოეული ჯანმრთელობის პრობლემისათვის მოცემული საწყისი ქულების დაჯამება უნდა მოხდეს, ამის შემდეგ მიღებული ჯამური ქულა გადაიყვანება დაავადების სიმძიმის კოდში. ამისათვის ფორმის ქვედა ნაწილში არსებული გადაყვანის ცხრილი გამოიყენება. ნახ.4 მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში ჯამური ქულა არის = 8(2+0+4+2), ხოლო სიმძიმის კოდი = 2 (გადაყვანის ცხრილში აღნიშნულია, რომ თუკი ქულა 5-დან 8-მდეა, მაშინ სიმძიმის კოდი ორს უდრის). აღნიშნული სიმძიმის კოდი ნიშნავს, რომ ამ კონკრეტული პაციენტისათვის კონკრეტული ვიზიტის დროს სტენოკარდიის გარეშე გულის იშემიური დაავადების სიმძიმე განისაზღვრებოდა, როგორც საშუალო, რადგანაც შესაძლებლობები 0-დან („არარსებობა") 4-მდე („მაქსიმალური") ვარირებს.

სიმძიმის კოდი შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემის კოდს დაემატოს, ამისათვის დამაკავშირებელ ნიშნად „:" გამოიყენება, რაც სიმძიმის აღმნიშვნელ სხვადასხვა ნიშნების ერთმანეთისაგან განსხვავების მიზნით არის გაკეთებული. ამგვარად, სტენოკარდიის გარეშე გულის იშემიური დაავადების კოდი ნახ.4-ის მიხედვით K76:2 იქნება.

## დაავადების სიმძიმის საველე გამოცდების (WOIMCA-SIFT) შედეგები

1993-1995 წლებში ჩატარდა საერთაშორისო გამოცდები, რომელთა მიზანი DUSOI/ WONCA-ს დაავადებათა სიმძიმის ჩამონათვალის სანდოობის, განხორციელებადობის და პოტენციური კლინიკური გამოყენების ტესტირება იყო. თავდაპირველად მონაწილეობა 16 სხვადასხვა ქვეყნის 47 ზოგადი/საოჯახო პრაქტიკის ექიმმა მიიღო. 22 მონაწილე 9 ქვეყანას წარმოადგენდა (ბელგია, გერმანია, ჰონ-კონგი, ისრაელი, იაპონია, ნიდერლანდები, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო და აშშ). მონაწილეების მიერ მონაცემთა შეკრება მოხდა[27].

აღნიშნული 22 მონაწილის მიერ წარმოდგენილი იყო DUSOI/WONCA-ს ქულები 1191 პაციენტის შესახებ. საკვლევი ჯგუფის პაციენტთა საშუალო ასაკი 59.2 წელი იყო, მათგან 59.6%-ს ქალები შეადგენდენ, აღრიცხულ იქნა 2488 ჯანმრთელობის პრობლემა. DUSOI/WONCA-ს სანდოობის დონე სტანდარტიზებული ჯანმრთელობის პრობლემების სერიის რეიტინგების მიხედვით შეფასდა.ჯგუფისშიდა კორელაციის კოეფიციენტი (ICC[28]) სანდოობის მიმართ 0.45 იყო, ICC-ის სანდოობა 0.39-დან

(სოციალური პრობლემა, რომელიც ერთ-ერთ ავადმყოფში აღინიშნა; ICPC-ის კოდი - Z14) 0.68-მდე (შფოთვა; ICPC-ის კოდი - P74) და 0.78-მდე (სიმსუქნის პრობლემა, ICPC-ის კოდი - T82) ვარირებდა. განხორციელებადობა პრაქტიკული გამოყენებისათვის კარგი იყო - აღინიშნა, რომ საშუალოდ მხოლოდ 1.9 წუთი იყო საჭირო თითოეული პაციენტისათვის DUSOI/WONCA-ს ქულის მისანიჭებლად (რანჟირება 1-დან 10-მდე იყო). პაციენტთა 71,1%-ის მიმართ ექიმები აღნიშნავდნენ, რომ სირთულეები არ ჰქონდათ. პაციენტთა 14.7%-ის მიმართ აღნიშნავდნენ, რომ საკმაოდ სასარგებლო, მეტნაკლებად სასარგებლო 53.6%-ში და გამოუყენებელი 31.7%-ის შემთხვევაში იყო. გამოყენებადობა მაღალი იყო იმ შემთხვევებში, როდესაც პაციენტს დაავადების უმძიმესი დონე ჰქონდა. DUSOI/WONCA-ს სიმძიმის საშუალო ქულა 2488 პაციენტისათვის 39.1 იყო (ყველაზე მსუბუქიდან ყველაზე მძიმემდე ქულები 0-100 იყო). პრობლემები სიმძიმის კლასიფიკაციაში ხუთ ჯგუფად განაწილდა:

კოდი 0 (სიმძიმის გარეშე) = 1.6%
კოდი 1 (მცირე სიმძიმე) = 29,9%
კოდი 2 (საშუალო სიმძიმე) = 45,9%
კოდი 3 (საშუალოზე მაღალი სიმძიმე) = 19,5%
კოდი 4 (სიმძიმის მაქსიმუმი) = 3,3%

სიმძიმის დონე საკმაოდ ვარირებდა, როგორც სხვადასხვა დიაგნოზებს შორის, ისე თითოეული დიაგნოზის შიგნითაც. მაგალითად, რესპირაცული სისტემის პრობლემებთან დაკავშირებით სიმძიმის საშუალო დონე 26.4-დან (ზედა სასუნთქი გზების ინფექცია, ICPC-ის კოდი - R74) 53.2-მდე (ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ICPC-ის კოდი - R95), ზედა სასუნთქი გზების ინფექციის შემთხვევაში სიმძიმის კოდების სიხშირე 61,1%-დან (კოდი 1)0%-მდე(კოდი 4) ვარირებდა. ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებისათვის ის 8,4%-დან (კოდი 1) 10.6%-მდე (კოდი 4) იყო.

საველე გამოცდების ჩატარების შემდეგ DUSOI/WONCA-ს მომავალი გამოყენების შესახებ 22 მონაწილიდან 41,2%-მა ჩათვალა, რომ გამოყენების სფერო პაციენტთა სამედიცინო მომსახურება შეიძლება იყოს, 71.2%-ის აზრით - სამეცნიერო კვლევები, 43,8%-ის - სწავლება, 52.9%-ის - პრაქტიკული მენეჯმენტი.

გაკეთდა დასკვნა, რომDUSOI/WONCA არის გამოყენებადი და პოტენციურად კლინიკურად სასარგებლო საოჯახო/ზოგადი პრაქტიკისათვის[27]. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს ეჭვი არ ეპარებოდათ სისტემის დაავადებათა სიმძიმის კლასიფიკაციისათვის გამოყენებადობაში, ემპირიულმა საველე გამოცდებმა მისი ამ მიზნებისათვის ძალიან კარგი მორგება დაადასტურა.

# 7 ფუნქციონალური სტატუსის შეფასება: COOP/WONCA-ს ანკეტები

1987 წელს WONCA-ს კლასიფიკაციების კომიტეტმა დაიწყო პაციენტის სრული ფუნქციონალური სტატუსის კლასიფიცირების და ამის შესახებ ჩანაწერების წარმოებისათვის საშუალებების ჩამოყალიბება, რომლებიც ჯანმრთელობის პრობლემების სიმძიმისაგან განცალკევებით მოხდებოდა[26]. აღნიშნული სამუშაოები წლების განმავლობაში ხორციელდებოდა, მოგვიანებით მათში WONCA-ს კვლევების კომიტეტიც ჩაერთო, შედეგად კი ე.წ. COOP/WONCA-ს ფუნქციონალური სტატუსის შეფასების ანკეტები ჩამოყალიბდა[30,31].

ფუნქციონალური სტატუსი არის ადამიანის სრული კეთილდღეობის შეფასება. ის ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელი სიმრავლის ერთ-ერთი კომპონენტია და კლინიკური სტატუსისა და ცხოვრების ხარისხის შეფასებასაც მოიცავს. ზოგადი/საოჯახო პრაქტიკის საერთაშორისო გლოსარიუმი ფუნქციონალურ სტატუსს ასე განსაზღვრავს: „ადამიანის საკუთარ გარემოში მოქმედებისა და ადაპტირების უნარი, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში ობიექტურად და სუბიექტურად არის შეფასებული“[19]. ფუნქციონალური სტატუსის ნებისმიერ დეფინიციაში დაავადებისაგან განსხვავებული, პაციენტის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობა არის ნაგულისხმები. სამედიცინო პრობლემების სურთულისა და დაავადების ქრონიკული მიმდინარეობის ზრდასთან ერთად, ზოგადი/ოჯახის ექიმები ფუნქციონირების ინდიკატორებისა და დაავადების სტატუსის მიმართ უფრო დაჯერებულნი გახდებიან, რათა ჩარევებისადმი დაკვირვება და ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება მოახდინონ.

ფუნქციონალური სტატუსი პაციენტთან და არა ჯანმრთელობის პრობლემასთან, დაავადებასა ან სამედიცინო მომსახურების ეპიზოდთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ის უფრო დაავადების სიმძიმეს და ნაკლებად ICPC-ის კოდებს ებმის. მაგრამ მისი წინამდებარე წიგნში შეტანა საჭირო გახდა, რადგანაც ეს საკითხი ზოგადი/საოჯახო მედიცინისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

დადგა მომენტი, როდესაც ზოგადი პრაქტიკის ექიმებმა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ფუნქციონალური სტატუსის შეფასების განხილვის აუცილებლობის მნიშვნელობა გააცნობიერეს. აღნიშნული შეფასებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასაკობრივი პრობლემებისა და ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში. ზოგადი/საოჯახო პრაქტიკის დონეზე მიმართვის მიზეზის, დიაგნოზის და თერაპიული ჩარევების ჩანაწერებში ფუნქციონალური სტატუსის შეფასების დამატება კლასიფიცირების პროცესის ლოგიკურ ნაბიჯს წარმოადგენს.

## ფუნქციონალური სტატუსის შეფასების ინსტრუმენტები

ერთ-ერთი პირველი ინსტრუმენტი, რომელიც საოჯახო მედიცინისათვის ფუქნციონალური სტატუსის შეფასების სანდო და პრაქტიკული საშუალების სახით WONCA-ს მიერ იქნა მიღებული, დართმუსის COOP ფუნქციონალური შეფასების ანკეტები იყო[32]. კლასიფიკაციების კომიტეტის მიერ აღნიშნული ანკეტების მოდიფიცირება და მათი ICPC-თან ერთად გამოყენების ხელშეწყობა მოხდა. გაუმჯობესებული ანკეტები ამჯამად COOP/WONCA-ს ანკეტების სახით არის ცნობილი.

COOP/WONCA-ს ანკეტები, რომლებიც თავდაპირველად ზოგადი/საოჯახო პრაქტიკისათვის იყო შემუშავებული, მხოლოდ ფუნქციონალური სტატუსის შეფასებისათვის გამოსადეგი ინსტრუმენტი არ არის. დღეისათვის უამრავი ინდიკატორი არის ხელმისაწვდომი. ზოგიერთი მათგანი ზოგადი პრაქტიკისათვის გამოიყენება.

36 ტერმინისაგან შემდგარი მოკლე ანკეტა (Medical Outcomes Study Short Form 36-item inventory) და მისი წარმოებულები პირველადი ჯანდაცვის სფეროში ფართოდ გამოიყენება. ამის მსგავსად, ჩრდილოეთ ამერიკაში წარმატებით დიუკის ჯანმრთელობის პროფილს (Duke Health Profile)[33], ევროპაში კი რამდენიმე სხვა ინსტრუმენტს იყენებენ. ყველაზე მეტად გავრცელებული ანკეტებია დაავადების ზემოქმედების პროფილი (Sickness Impact Profile - SIP) და ნოტინჰემის ჯანმრთელობის პროფილი (Nottingham Health Profile - NHP). ამ ინსტრუმენტებისაგან რამდენიმე კვლევებისათვის და არა კლინიკური მიზნებისთვის იქნა შემუშავებული (მაგალითად, SIP[34] ).

დღეისათვის COOP/WONCA-ს ანკეტების ტესტირება ყველაზე ფართოდ პირველადი ჯანდაცვის საჭიროებისათვის მოხდა[35]. საერთაშორისო მასშტაბით დადასტურდა, რომ ზოგად პრაქტიკაში მათ კარგი ვალიდურობა და კლინიკური გამოყენება აქვთ[36]. ზოდაგი პრაქტიკის ექიმებმა დაადასტურეს, რომ კონსულტაციებისას ანკეტები ადვილად გამოსაყენებელია და სასარგებლოა, როგორც პაციენტის ზოგადი სტატუსის და სამედიცინო მომსახურების შედეგების შეფასების საშუალება.

ფუნქციონალური სტატუსის, კულტურული და კონტექსტუალური საკითხების შეფასება დადასტურებული უნდა იყოს. ანკეტებთან დაკავშირებული რამდენიმე კვლევით გაირკვა, რომ ისინი ურთიერთკულტურულ სტაბილურობას არ ასახავენ. ტესტირებისა და რეტესტირების კვლევების ინსტრუმენტის სახით გამოყენების სანდოობა ყოველთვის იქნება იმ ინდიკატორების საგანი, რომლებიც გლობალურია და მრავალი ცვლადის ზემოქმედებას განიცდის. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კვლევა იქნა ჩატარებული. ტესტური პირობების სტანდარტიზაციასა და შიდაჯგუფური სანდოობის შეფასებას საკვლევი პროექტების შედეგების გაუმჯობესება შეუძლია.

## COOP/WONCA-ს ანკეტები

COOP/WONCA-ს ანკეტების ამჟამინდელი ფორმა ზოგადი/საოჯახო პრაქტიკის სფეროში ფართო ტესტირების საფუძველზე შემუშავდა. დღეისათვის ექვსი ანკეტა არსებობს: ფიზიკური შესაბამისობა; შეგრძნებები; ყოველდღიური აქტივობა; სოციალური აქტივობა; ცვლილებები ჯანმრთელობის მდგომარეობაში; ჯანმრთელობა მთლიანობაში. ყოველდღიური აქტივობის ანკეტის მაგალითი ნახ.5 არის მოყვანილი. ტკივილთან და ძილთან დაკავშირებული დამატებითი ანკეტები შემუშავების პროცესშია.

თითოეული ანკეტა ძირითად წინადადებას და 5 სავარაუდოპასუხს მოიცავს. ტექსტს ხუთი შესაძლებელი პასუხის შესატყვისი ილუსტრაცია მოჰყვება. ამგვარი ილუსტრაციები მოცემული ანკეტების გამოყენებადობას ზრდის იმ შემთხვევებში, როდესაც პირველადი ჯანდაცვის დონეზე წიგნიერების სხვადასხვა დონის მქონე პაციენტების მიმართ იხმარება.

დღეისათვის ანკეტები გამოქვეყნებულია შემდეგ ენებზე: ჩინური, დანიური, ჰოლანდიური, ფინური, ფრანგული, გერმანული, ივრითი, იტალიური, იაპონური, კორეული, ნორვეგიული, პორტუგალიური, ესპანური (კატალონური, კასტილიური და კალეგო), სლოვაკური, შვედური და ურდუ[31].

## ანკეტების გამოყენება

შესაძლებელია ანკეტების ცალ-ცალკე ან ერთობლივად გამოყენება. როდესაც ერთ ანკეტაზე მეტი გამოიყენება, რეკომენდებულია მათი შემდეგი მიმდევრობით მიწოდება: ფიზიკური შესაბამისობა; შეგრძნებები; ყოველდღიური აქტივობა; სოციალური აქტივობა; ცვლილებები ჯანმრთელობის მდგომარეობაში; ჯანმრთელობა მთლიანობაში. ანკეტების გამოყენებისას უპირატესობა თვით-შეფასებას ენიჭება. თუმცა ერთ-ერთ კვლევაში ნაჩვენებია კორელაცია, რომელიც თვით-შეფასებასადა პროვაიდერის მიერ გაკეთებულ შეფასებებს შორის არსებობს[31]. ექვსი ანკეტის შევსებისთვის საშუალოდ 5 წუთზე ნაკლები არის საჭირო.

როდესაც ანკეტები ახალ კულტურულ გარემოში გამოიყენება, მნიშვნელოვანია, რომ შესაფასებელი კონცეფციები გარემოსათვის შესატყვისად და სპეციფიკურად ჩამოყალიბდეს. სათანადო თარგმანის მომზადება აღნიშნულის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

COOP/WONCA-ს ჯანმრთელობის ფუქციონალური სტატუსის შეფასების ანკეტების სახელმძღვანელოში[31] უფრო ვრცელი ინფორმაცია არის მოცემული ანკეტების გაუმჯობესებისა და გამოყენების, თარგმანის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია შემდგომი დახმარებისთვის, მათ შორის სხვადასხვა ენებზე თარგმანების ავტორების შესახებ.

ყოველდღიური აქტივობა

უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში...
თქვენი ფიზიკური და ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, რამდენად რთული იყო თქვენთვის ჩვეულებრივი საქმიანობა და რაიმე დავალებების შესრულება სახლში და სხვაგან?

| | |
|---|---|
| საერთოდ არ იყო რთული | 1  |
| ცოტათი გამიჭირდა | 2  |
| მეტნაკლებად გამიჭირდა | 3  |
| ძალიან გამიჭირდა | 4  |
| საერთოდ ვერ ვაკეთებდი | 5  |

**ნახ.5.** COOP/WONCA-ს ფუქციონალური სტატუსის შეფასების ანკეტა: ყოველდღიური აქტივობა.

## COOP/WONCA-ს ანკეტებსა და ICPC-ის შორის არსებული ურთიერთკავშირი

იმისათვის, რომ ფუნქციონალურ სტატუსსა და ჯანმრთელობის პრობლემებს შორის არსებული ურთიერთკავშირი იქნას გამოკვლეული, შესაძლებელია COOP/WONCA-ს ანკეტების ICPC-ისთან ერთად გამოყენება. მაგალითად, ICPC-ის ყველა თავში პირველი კომპონენტის რუბრიკა 28 (სიმპტომები და ჩივილები) ფუნქციების შეზღუდვასა და უუნარობას უკავშირდება. ამ კომპონენტში ფუნქციონალური სტატუსის კოდირება დამატებითი ციფრით უნდა მოხდეს. მაგრამ ფუნქციონალური სტატუსი პაციენტის მთლიან მდგომარეობას და არა მის ჯანმრთელობის პრობლემას ეხება. თუკი ერთზე მეტი მიმდინარე პრობლემა არსებობს, ურთიერთკავშირის ინტერპრეტაცია რთულდება, რადგანაც თანმხლები დაავადებები ინტერპრეტაციის სურთულეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, თუკი პაციენტს ჰიპერტენზია და დიაბეტი აღენიშნება, მის ფუნქციონალურ სტატუსზე ორივე ზემოქმედებს, მაგრამ მათი შედარებითი მნიშვნელობა და ეფექტი რუტინული ჩანაწერებით ვერ განისაზღვრება. ერთი პრობლემის არსებობის შემთხვევაშიც კი ფუნქციონალური სტატუსის შეფასება აღნიშნული პრობლემის შეფასებას სცილდება და ამგვარად, კავშირი ICPC-ის კონკრეტულ კოდთან შეიძლება არც ისე მარტივი აღმოჩნდეს.

## 8 პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორი, მეორე შესწორებული გამოცემა ICPC-2-R: ცხრილური ჩამონათვალი

წინამდებარე ცხრილური ჩამონათვალი ICPC-ის მეორე შესწორებული გამოცემის ყველა რუბრიკის დეტალებს მოიცავს და 1998 წელს გამოცემული ICPC-2-ის ძირეულ გადახედვას წარმოადგენს[1]. ის 2000[2] და 2003[3] წლებში განხორციელებულ ICPC-2-ის ცვლილებებს და WICC-ის 2003 და 2004 წ.წ. შეხვედრებზე გადაწყვეტილი, მაგრამ გამოუცემელი მიმდინარე შესწორებების უმეტესობასაც მოიცავს. აღნიშნული შესწორებების რედაქტორები არიან: Inge Okkes, Henk Becker, Sibo Oskam და Henk Lamberts (საოჯახო მედიცინის დეპარტემენტი, ამსტერდამის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები).

მეთერთმეტე თავში ICD-10-ის შესატყვისი კოდების ცვლილებელი არის მოცემული.

პროცესის კომპონენტები 2-6, რომლებიც ყველა თავისთვის სტანდარტულია, დასაწყისში არის მოყვანილი, ამის შემდეგ მოდის პირველი და მეშვიდე კომპონენტები, რომლებშიც თითოეული რუბრიკა სპეციფიკურია თოთოეული თავისთვის.


1. WONCA International Classification Committee. International Classification for Primary Care, 2nd edn. (ICPC-2). Oxford, Oxford University Press, 1998.
2. Okkes I M, Jamoulle M, Lamberts H, Bentzen N. ICPC-2-E. The electronic version of ICPC-2. Differences with the printed version and the consequences. *Fam. Pract.* 2000; **17:** 101-106.
3. Okkes I M, Becker H W, Bernstein R M, Lamberts H. The march 2002 update of the electronic version of ICPC-2. A step forward to the use of ICD-10 as a nomenclature and a terminology for ICPC-2. *Fam. Pract.* 2002; **19:** 543-546.


### პროცესის სტანდარტული ICPC-ის კომპონენტები: კომპონენტები 2-6

პირველ პოზიციაში მოცემული ტირე თითოეული თავის შესაბამისი ანბანური კოდით უნდა შეიცვალოს.

### კომპონენტი 2 – სადიაგნოსტიკო და პრევენციული პროცედურები

-30 სამედიცინო გამოკვლევა/ჯანმრთელობის სრული შეფასება
-31 სამედიცინო გამოკვლევა/ჯანმრთელობის ნაწილობრივი შეფასება
-32 ტესტი მგრძნობელობაზე
-33 მიკრობიოლოგიური/იმუნოლოგიური ტესტი
-34 სისხლის ანალიზი
-35 შარდის ანალიზი
-36 განავლის ანალიზი
-37 ჰისტოლოგიური/ექსფოლიატიური ციტოლოგია
-38 სხვა ლაბორატორიული ტესტები, რომელიც არ არის შეტანილი სხვა

რუბრიკებში

-39 ფიზიკური ფუნქციის განმსაზღვრავი ტესტი

-40 დიაგნოსტიკური ენდოსკოპია

-41 დიაგნოსტიკური რადიოლოგია/გამოსახვითი

-42 ელექტრონული სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენება

-43 სხვა დიაგნოსტიკური პროცედურა

-44 პრევენციული იმუნიზაცია/მკურნალობა მედიკამენტებით

-45 დაკვირვება/განსწავლება (ჯანმრთელობის საკითხებში)/რჩევა/დიეტა

-46 კონსულტაცია პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებელთან

-47 კონსულტაცია სპეციალისტთან

-48 გარკვევა/დისკუსია პაციენტის მიმართვის მიზეზთან/მოთხოვნილებასთან დაკავშირებით

-49 სხვა პრევენციული პროცედურა

## კომპონენტი 3 – მედიკამენტები, მკურნალობა, თერაპიული პროცედურები

-50 მედიკამენტური მკურნალობა/დანიშნულება/განახლება/ინექცია

-51 კვეთა (ჩაჭრა)/დრენაჟი/გამორეცხვა/ასპირაცია/სითხის ამოღება (არ იგულისხმება კათეტერიზაცია - 53)

-52 ამოკვეთა/ქსოვილის ამოღება/ბიოფსია/დესტრუქცია/მოცილება (ნაწილის, უცხო სხეულის)/მოწვა

-53 ინსტრუმენტული ჩარევა/კათეტერიზაცია/ინტუბაცია/დილატირება

-54 აღდგენა/ფიქსაცია-გაკერვა/იმობილიზაციის საშუალება/პროთეზი (დაყენება/მოხსნა)

-55 ადგილობრივი ინექცია/ინფილტრაცია

-56 გადახვევა/მოჭერა/კომპრესია/ტამპონადა

-57 მკურნალობის ფიზიკალური მეთოდები(ფიზიოთერაპია)/რეაბილიტაცია

-58 თერაპიული კონსულტაცია/მოსმენა

-59 სხვა თერაპიული პროცედურა/მცირე ქირურგია,რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში

## კომპონენტი 4 –შედეგები

-60 ტესტების/პროცედურების შედეგები

-61 სხვა მიმწოდებლისგან მიღებული გამოკვლევის/ტესტის შედეგი ან წერილობითი ინფორმაცია

## კომპონენტი 5 – ადმინისტრაციული

-62 ადმინისტრაციული პროცედურა

## კომპონენტი 6 – გაგზავნა და მიმართვის სხვა მიზეზი

-63 საკონტროლო/შემდგომი მიმართვა, არასპეციფიური

-64 მიმართვა/პრობლემა ინიცირებული მიმწოდებლის მიერ

-65 მიმართვა/პრობლემა ინიცირებული მესამე პირის მიერ (არა პაციენტის ან პროვაიდერის)

-66 გაგზავნა სხვა მიმწოდებელთან/ექთანთან/სოციალურ მუშაკთან/სხვა (სპეციალობით არა ექიმთან)

-67 გაგზავნა ექიმთან/სპაციალისტთან / კლინიკაში/საავადმყოფოში

-68 სხვა რეფერალი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში

-69 მიმართვის სხვა მიზეზი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში

## რუბრიკების განლაგება კომპონენტებში 1-7

რუბრიკები განლაგებულია შემდეგ ფორმატში:

| კოდი | დასახელება | დსკ–10–ს კოდი |
|---|---|---|
| იგულ: | შეიცავს ტერმინს | |
| არ იგულ: | არ შეიცავს ტერმინს თავისი ICPC კოდით | |
| კრიტერიუმები: | რუბრიკაში მოთავსების კრიტერიუმები | |
| სხვა შესაძლო კოდი: | რუბრიკები, რომელებიც შეიძლება გამოიყენოთ, თუ რუბრიკა არ შეესაბამება კრიტერიუმებს. | |

*მაგალითი:*

| | | |
|---|---|---|
| A73 | მალარია | *B50–დან B54–მდე* |
| იგულ: | მალარიას გართულებები | |
| კრიტერიუმები: | მალარიის რეგიონში ადგილობრივ მოსახლეში / ახლად ჩამოსულში წყვეტილი სიცხე ჟრიალით და შემცივნებით, ან პერიფერიულ სისხლში მალარიის პარაზიტის ფორმების გამოვლენა. | |
| სხვა შესაძლო კოდი: | სიცხე A03 | |

## *A - ზოგადი და სხვაგვარად დაუზუსტებელი*
## *კომპონენტი 1 – სიმპტომები და ჩივილები*

| | | |
|---|---|---|
| *A01* | **ტკივილი (ზოგადად) / მრავლობითი ლოკალიზაციის** | ***R52*** |
| *იგულისხმება* | ქრონიკული ზოგადი ტკივილი, მრავლობითი ტკივილი | |
| *A02* | **გაციება/შემცივნება** | ***R68,8*** |
| *იგულისხმება* | კანკალი, აგზნებულობა | |
| *არ იგულისხმება* | სიცხე A03 | |
| *A03* | **სიცხე / ცხელება** | ***R50*** |
| *იგულისხმება* | პირექსია, მაღალი სიცხე | |
| *არ იგულისხმება* | სიცხე გამონაყარით A76; სისუსტე მაღალი სიცხის გამო / ინსულტი A88 | |
| *A04* | **სისუსტე / დაღლილობა (ზოგადად)** | ***G93.3, R53*** |
| *იგულისხმება* | ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, სისუსტე, დაღლილობა, მომატებული ძილიანობა (ლეთარგია), პოსტვირუსული დაღლილობა | |
| *არ იგულისხმება* | შეუძლოდ ყოფნა A05; მთვლემარე მდგომარეობა, მოდუნებულობა A29; სიცხის გამო დასუსტება A88; დაღლილობა დროის რამდენიმე ზონის გადაკვეთის შედეგად (jetlag); ძილიანობა P06 | |
| *A05* | **შეუძლოდ ყოფნა** | ***R53*** |
| *იგულისხმება* | თავის აღქმა ავადმყოფად | |
| *არ იგულისხმება* | მოხუცებულობა/ სიბერე P05, კახექსია T08, კვების ნაკლებობა T91 | |
| *A06* | **გონების დაკარგვა / გულის წასვლა** | ***R55*** |
| *იგულისხმება* | თვალების დაბნელება, კოლაპსი, ვაზოვაგალური შეტევა | |
| *არ იგულისხმება* | კომა A07; გულის წასვლის შეგრძნება / თავბრუსხვევა / ვერტიგო N17 | |
| *A07* | **კომა** | ***R40*** |
| *იგულისხმება* | გაშეშება, სტუპორი | |
| *არ იგულისხმება* | გულის წასვლა A06 | |
| *A08* | **შეშუპება** | ***R68.8*** |
| *იგულისხმება* | გასიება, შეშუპება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული | |
| *არ იგულისხმება* | ლიმფური კვანძის გადიდება B02; წვივ-ტერფის | |

| | | |
|---|---|---|
| | სახსრის შეშუპება K07; შეშუპებული სახსარი L20; შეშუპებული ძუძუ X19, Y16 | |
| *A09* | **ოფლიანობის პრობლემა** | ***R61*** |
| *იგულისხმება* | ჰიპერჰიდროზი, ღამის ოფლიანობა, პერპირაციასთან დაკავშირებული პრობლემა | |
| *არ იგულისხმება* | საოფლე ჯირკვლის ავადმყოფობა S92 | |
| *A10* | **სისხლდენა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული** | ***R58*** |
| *A11* | **ტკივილი გულმკერდის არეში, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული** | ***R07.4*** |
| *არ იგულისხმება* | გულის ტკივილი K01; გულმკერდის კედელთან დაკავშირებული ტკივილი L04; სასუნთქ სისტემასთან დაკავშირებული ტკივილი R01 | |
| *A13* | **წუხილი /შიში მედიკამენტური მკურნალობის** | ***Z71.1*** |
| *იგულისხმება* | წუხილი მედიკამენტური მკურნალობის შედეგების შიში | |
| *არ იგულისხმება* | მედიკამენტის არასასურველი ზემოქმედება A85; სამედიცინო / ქირურგიული მკურნალობის გართულება A87 | |
| *A16* | **მოუსვენარი/აღგზნებული ჩვილი** | ***R68.1*** |
| *იგულისხმება* | ზედმეტად მტირალი / მოუსვენარი ჩვილი | |
| *არ იგულისხმება* | ჩვილის ჭვალი D01; აღგზნებული ბავშვი, მოზრდილი P04 | |
| *A18* | **წუხილი გარეგნობაზე** | ***R46.8*** |
| *არ იგულისხმება* | წუხილი ყურის გარეგნულ ფორმაზე H15; დამოკიდებულება ორსულობით გამოწვეული სხეულის ცვლილებების მიმართ W21; დამოკიდებულება სარძევე ჯირკვლის გარეგნული ფორმის გამო X22 | |
| *A20* | **ევთანაზიის მოთხოვნა/დისკუსია** | ***Z71.8*** |
| *A21* | **ავთვისებიანობის რისკ–ფაქტორი** | ***Z80, Z85*** |
| *იგულისხმება* | პერსონალური / ოჯახური ავთვისებიანი სიმსივნის ანამნეზი, წარსული მკურნალობა, ავთვისებიანი სიმსივნის სხვა რისკ–ფაქტორები | |
| *A23* | **რისკ–ფაქტორი, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული** | |
| | | ***Z20, Z28, Z72.0–დან Z72.5–მდე, Z73.2, Z81, Z82.0–დან Z82.2–მდე, Z82.5–დან Z82.8, Z83, Z84, Z86.0–დან Z86.6–მდე, Z87, Z88, Z91, Z92*** |

| | | |
|---|---|---|
| *იგულისხმება* | კონტაქტი ინფექციურ ავადმყოფობასთან, პერსონალური / ოჯახის ისტორია, წარსულში არსებული ეპიზოდი, სხვა დაავადებების რისკ-ფაქტორები | |
| *არ იგულისხმება* | ავთვისებიანი სიმსივნის რისკ–ფაქტორი A21, გულ–სისხლძარღვთა სისტემის ავადმყოფობის რისკ–ფაქტორი K22 | |
| *A25* | **სიკვდილის შიში** | *Z71.1* |
| *A26* | **ეჭვი (შიში) ავთვისებიან სიმსივნეზე, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული** | *Z71.1* |
| *არ იგულისხმება* | თუ პაციენტი დაავადებულია ავთვისებიანი სიმსივნით, დასვით ავადმყოფობის კოდი | |
| *კრიტერიუმები:* | პაციენტის, ავთვისებიან სიმსივნზე შიში / ეჭვი / დიაგნოზის დადგენამდე, რომელიც არ არის დაკავშირებული კლასიფიკატორის განსაზღვრულ თავთან | |
| *A27* | **სხვა დაავადების ეჭვი/ შიში, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული** | *Z71.1* |
| *არ იგულისხმება* | ავთვისებიანი სიმსივნის შიში, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული A26; დასვით ავადმყოფობის კოდი, თუ პაციენტი ავად არის | |
| *კრიტერიუმები:* | პაციენტის, სხვა ავადმყოფობის შიში, დიაგნოზის დადგენამდე, რომელიც არ არის დაკავშირებული კლასიფიკატორის განსაზღვრულ თავთან | |
| *A28* | **ფუნქციის შეზღუდვა / უუნარობა, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული** | *Z73.6, Z74, Z99.0, Z99.3, Z99.8, Z99.9* |
| *არ იგულისხმება* | უნებლიე დავარდნა A29 | |
| *კრიტერიუმები:* | ფუნქციის შეზღუდვა / უუნარობა, რომელიც არ არის დაკავშირებული პრობლემასთან კლასიფიკატორის რომელიმე სხვა თავში | |
| *შენიშვნა:* | COOP / WONCA –ს ანკეტები მოსახერხებელია პაციენტის ფუნქციონალური სტატუსის შეფასებისთვის (იხ. თავი 8) | |
| *A29* | **სხვა ზოგადი სიმპტომი / ჩივილი** | *R26,8, R68.0, R68.8* |
| *იგულისხმება* | მოუქნელობა, მოთენთვა, უნებლიე დავარდნა | |

## *კომპონენტი 7 – დიაგნოზები / ავადმყოფობები*

| | | |
|---|---|---|
| *A70* | **ტუბერკულოზი** | *A15–დან A19–მდე, B90, N74.0, N74.1* |
| *იგულისხმება* | სხეულის ყველა ორგანოს ტუბერკულოზური | |

ინფექცია; ტუბერკულოზის გვიანი შედეგები

*კრიტერიუმები:* კანის დადებითი ტესტი ტუბერკულოზზე; ან *Mycobacterium tuberculosis* მანიფესტაცია მიკროს»ამობორცვა"აში ან კულტურაში; ან დამახასიათებელი გულმკერდის რენტგენოგრამა; ან დამახასიათებელი ჰისტოლოგიური სურათი ბიოფსიის

*სხვა შესაძლო კოდი:* სიცხე A03; ხველა *R05*

*A71* **წითელა** *B05*

*იგულისხმება* წითელას გართულებები

*კრიტერიუმები:* პროდრომი გაწითლებული თვალებით,სიცხით და ხველით; ან თეთრი ლაქები წითელ ფონზე ლოყების ლორწოვანი აპკზე (კოპლიკის ლაქები), ან კონფლუენტური მაკულოპაპულური გამონაყარი, რომელიც ვრცელდება სახეზე და ტანზე, ან წითელას ეპიდემიის დროს ატიპიური გამონაყარი ნაწილობრივ იმუნიზირებულ ადამიანზე, ან სეროლოგიურად დადასტურებული მწვავე წითელა

*სხვა შესაძლო კოდი:* სიცხე A03; სხვა ვირუსული გამონაყარი A76; გამონაყარი გენერალიზებული S07

*A72* **ჩუტყვავილა** *B01*

*იგულისხმება* ჩუტყვავილას გართულებები

*არ იგულისხმება* სარტყლისებური ჰერპესი (ჰერპეს ზოსტერი) S70

*კრიტერიუმები:* ვეზიკულური გამონაყარი, რომელიც შემდგომში რჩება ლაქების სახით, დაზიანებებით, რომელიც სწრაფად ვითარება ზედაპირული პაპულებიდან ვეზიკულამდე და საბოლოოდ ფუფხამდე

*სხვა შესაძლო კოდი:* სიცხე A03; სხვა ვირუსული გამონაყარი A76; გამონაყარი გენერალიზებული S07

*A73* **მალარია** *B50–დან B54–მდე*

*იგულისხმება* მალარიას გართულებები

*კრიტერიუმები:* მალარიის რეგიონში ადგილობრივ მოსახლეში / ახალ ჩამოსულში წყვეტილი სიცხე ჟრიალით და ციებით, ან მალარიის პარაზიტის ფორმები პერიფერიულ სისხლში

*სხვა შესაძლო კოდი:* სიცხე A03

*A74* **წითურა** *B06*

*იგულისხმება* წითურას გართულებები

*არ იგულისხმება* თანდაყოლილი წითურა A94; უეცარი ეგზანთემა A76

*კრიტერიუმები:* მწვავედ გამოხატული გამონაყარი, გადიდებული ლიმფური კვანძები, ყველაზე ხშირად სუბოკციპიტალური და პოსტორიკუკულარული,

| | | |
|---|---|---|
| | მაკულარული გამონაყარით სახეზე, რომელიც გადადის ტანზე და კიდურების პროქსიმალურ ნაწილებზე; ან წითურას ინფექციის სეროლოგიური დადასტურება | |
| *სხვა შესაძლო კოდი:* | სიცხე A03; სხვა ვირუსული გამონაყარი A76; გამონაყარი გენერალიზებული S07 | |
| *A75* | **ინფექციური მონონუკლეოზი** | ***B27*** |
| *იგულისხმება* | ჯირკვლოვანი ცხელება, მ.პფაიფერი | |
| *კრიტერიუმები:* | ტონზილების / ხახის ანთება ლიმფადენოპათიით, რომელიც არ არის ლოკალიზირებული ანტერიულ ცერვიკალურ კვანძებში, და აგრეთვე ატიპიური ლიმფოციტების რაოდენობა სისხლში ან ელენთის გადიდება; ან პათოლოგიური ანტისხეულის ტიტრით ან ეპსტაინ – ბარის ვირუსული ტიტრით | |
| *სხვა შესაძლო კოდი:* | სიცხე A03; გადიდებული ლიმფური კვანძები B02; ზედა სასუნთქი გზების მწვავე ინფექცია R74 | |
| *A76* | **სხვა ვირუსული გამონაყარი**<br>***A88.0, B03, B08.0, B08.2–დან B08.4–მდე, B08.8, B09*** | |
| *იგულისხმება:* | ყვავილი, ხელის, ტერფისა და პირის ავადმყოფობა, ცხელება გამონაყარით, ინფექციური ერითემა, მეხუთე ავადმყოფობა. | |
| *არ იგულისხმება:* | წითელა A71; ჩუტყვავილა A72; წითურა A74; ინფექციური მონონუკლეოზი A75 | |
| *A77* | **ვირუსული ავადმყოფობა სხვა / რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული**<br>***A82, A90–დან A96–მდე, A98, A99, B00.7, B25, B33.0, B33.1, B33.3, B34, B97*** | |
| *იგულისხმება:* | ადენოვირუსი, კოქსაკის ავადმყოფობა, დენგეს ცხელება, როსს-რივერის ცხელება | |
| *არ იგულისხმება:* | სხვა ვირუსული ავადმყოფობა A76, გრიპი R80 | |
| *A78* | **ინფექციური ავადმყოფობა სხვა /რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული**<br>***A20-დან A28-მდე, A30, A31, A32, A38, A39.9, A40–დან A44–მდე, A48.8, A49, A59.9, A64, A68, A69.2, A69.8, A69.9, A70, A74.8, A74.9, A75, A77–დან A79–მდე, B37.7–დან B37.9–მდე, B38–დან B43–მდე, B45–დან B49–მდე, B55–დან B57–მდე, B58.8, B58.9, B60, B64, B89, B92, B94.9, B95, B96, B99*** | |
| *იგულისხმება:* | ბრუცელოზი, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის ინფექცია, ლაიმის ავადმყოფობა; მიკოპლაზმური ინფექცია; Q ცხელება; რიკეტსიოზები; ქუნთრუშა; უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები დაუზუსტებელი; კანდიდოზი დაუზუსტებელი; ტოქსოპლაზმოზი | |
| *არ იგულისხმება:* | მენინგოკოკური მენენგიტი N71 | |

*A79* ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

*C38.1–დან C38.3–მდე, C38.8, C45.7, C45.9, C46.7–დან C49.9–მდე, C76, C78–დან C–მდე, C97, D09.7, D09.9*

*იგულისხმება:* მეორადი / მეტასტაზური სიმსივნე უცნობი ლოკალიზაციით, კარცინომატოზი (უცნობი პირველადი)

*კრიტერიუმები:* სიმსივნის ავთვისებიანობის ჰისტოლოგიური დადასტურება

*სხვა შესაძლო კოდი:* დაუზუსტებელი ხასიათის / ლოკალიზაციის ავადმყოფობა / მდგომარეობა A99

*A80* ტრავმა / დაზიანება, რომელიც სხვაგვარად არ არის დაზუსტებული

*S11, S15, S25, S26, S27, S35, S37.9, S38.1, S38.3, S39.0, S39.8, S39.9, S45, S55, S65, S75, S85, S95, T11.4, T13.4, T14.5, T14.7-დან T14.9-მდე, T28.4, T28.9*

*იგულისხმება:* საგზაო უბედური შემთხვევა

*არ იგულისხმება:* მრავლობითი ტრავმა A81; ტრავმის გვიანი შედეგი A82

*A81* მრავლობითი ტრავმა / დაზიანება

*S17.8, S17.9, S18, S19, S28, S29, S31.7, S36.7, S37.7, S37.8, S39, T00–დან T05–მდე, T06.5, T06.8, T07, T29*

*იგულისხმება:* მრავლობითი შინაგანი ტრავმები, დაუზუსტებელი

*შენიშვნა:* ამ კლასიფიკაციაში ზოგადი ან მრავლობითი ნიშნავს 3 და მეტი სხეულის ნაწილს ან სისტემას. მდგომარეობები, რომელიც დაკავშირებულია 1 ან 2 სისტემასთან / ნაწილთან, უნდა იყოს კოდირებული შესაბამის რუბრიკებში

*A82* ტრავმის მეორადი შედეგი

*T79.0–დან T79.2–მდე, T79.4, T79.5, T79.7–დან T79.9–მდე, T90–დან T98–მდე*

*იგულისხმება:* დეფორმაცია / ნაწიბურის წარმოქმნა, რომელიც წარსულში მიღებული ტრავმის შედეგია, ძველი ამპუტაცია

*არ იგულისხმება:* შედეგები, რომელიც დაკავშირებულია სხეულის გარკვეულ სისტემისთვის, მიეცით კოდი შესაბამისი სისტემის რუბრიკიდან: ტრავმის ფსიქოლოგიური ეფექტი / მწვავე სტრესული რეაქცია P02; ტრავმის შემდგომი სტრესული აშლილობა P82; ჭრილობის ინფექცია S11; ნაჭრილობევი კანზე S99

*A84* მოწამვლა სამედიცინო საშუალებით *T36-დან T50-მდე*

*იგულისხმება:* ტოქსიური ეფექტი მედიკამენტოზური საშუალების ჭარბი დოზისგან

*არ იგულისხმება:* მედიკამენტებზე დამოკიდებულება P18; სუიციდის მცდელობა P77; ინსულინური კომა T87
*კრიტერიუმები:* ტოქსიკურობა / გაუარესება, გამოწვეული შემთხვევით/ განზრახ ჭარბი დოზის სამედიცინო საშუალების მიღების შედეგად, რომელსაც სათანადო დოზით სამკურნალო თვისება გააჩნია.

*A85* **მედიკამენტური საშუალების არასასურველი ზემოქმედება**
*D61.1, D64.2, G44.4, I95.2, I27.0, I27.1, T88.6, T88.7*
*იგულისხმება:* გვერდითი ეფექტი / ალერგია / ანაფილაქსია მედიკამენტის სათანადო დოზის მიღების შედეგად
*არ იგულისხმება:* მოწამვლა წამლისმიერი აგენტით A84; იმუნიზაციაზე / გადასხმაზე რეაქცია A87; პარკინსონის ავადმყოფობა N87; მედიკამენტებზე დამოკიდებულება P18; კონტაქტური დერმატიტი S88; ინსულინური კომა T87; ანალგესიური ნეფროპათიაU88
*კრიტერიუმები:* სიმპტომი / ჩივილი, რომელიც მიკუთვნება უპირატესად სამკურნალო საშუალების სათანადო გამოყენებას, ვიდრე დაავადებას ან ტრავმას
*შენიშვნა:* შეიძლება აგრეთვე არასასურველი წარმომავლობის ეფექტის კოდირება

*A86* **არაწამლისმიერი სუბსტანციის ტოქსიკური ზემოქმედება**
*D61.2, D64.1, T51–დან T65–მდე*
*იგულისხმება:* კარბონ მონოქსიდის, სამრეწველო მასალების, ტყვიის, შხამიანი ცხოველების / მწერების / მცენარეების / გველების ტოქსიური ეფექტი ზოგადი / ლოკალური
*არ იგულისხმება:* მედიკამენტური საშუალებით მოწამვლა / არასასურველი ზემოქმედება A84, A85; მწვავე / ქრონიკული ალკოჰოლური დამოკიდებულება P15, P16; თამბაქოზე დამოკიდებულება P17; მედიკამენტებზე დამოკიდებულება P18; ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება P19; რესპირატორული ტოქსიური ეფექტი R99; არატოქსიური ნაკბენები S12, S13; გარე ქიმიური დამწვრობები S14; კონტაქტური დერმატიტი S88

*A87* **მედიკამენტოზური მკურნალობის გართულება**
*E89, G97, H59, H95, I97, J95, K91.3, M96, N99, O29, O74, O86.0, O89, O90.0-დან O90.2–მდე, T80, T81, T86, T87, T88.0-დან T88.5–მდე, T88.8,T88.9*
*იგულისხმება:* ანესთეზიით გამოწვეული შოკი, რეაქცია იმუნიზაციაზე / გადასხმაზე, ოპერაციის შემდგომ ინფექცია / სისხლდენა / ჭრილობის გახსნა, დიაგნოსტიკის/მკურნალობის დროს გამოყენებული რადიაციასთან დაკავშირებული პრობლემები
